პროლეტარელებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს და მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 50 (19791) პარასკევი, 27 თებერვალი, 1987 წელი. ◆ ფასი 3 კაპ.

ხალხი გარდაქმნის მამოძრავებელი ძალაა

სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობა

25 თებერვალს დელეგატებმა განაგრძეს საბჭოთა პროფკავშირების ამოცანების განხილვა.

პროფკავშირთა ორგანიზატორული საქმიანობისათვის პრინციპული და დიდი მნიშვნელობა ენიჭება სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებებს დემოკრატიის, ხალხის სოციალისტური თვითმმართველობის შემდგომი განვითარების საკითხებზე, აღინიშნეს თვალსაჩინოთ გამოსვლებში მოსკოვის ოლქის „სოფლშრომის“ № 18 რესპუბლიკის მმართველმა **ნ. ი. ტრავკინმა**, ბელორუსიის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარემ **ვ. ი. გონჩარიენმა**, დემოკრატია უნდა ემყარებოდეს მასების სანიმუშო შეგნებულ დისციპლინას, პოლიტიკურ და შრომითს ეფექტიანად გამოიყენონ ტექნიკა.

ორ და სამცვლიან მუშაობაზე საწარმოო დარგების საწარმოთა აქტიურ გადაყვანას ხელს არ უწყობს ტრანსპორტის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურისა და მომსახურების სფეროს სხვა დარგების დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის შეუთანხმებლობა.

სკკპ ვენტრალურმა კომიტემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ საქმიროდ ცნეს 1987-1988 წლებში განხორციელდეს მოწყობილობის გადაყვანა მუშაობის ორცვლიან რეჟიმზე, ხოლო უნიკალური და ძვირადღირებული მოწყობილობისა — სამცვლიან რეჟიმზე. იქ, სადაც საჭიროა წარმოების პირობების გამო და განსაკუთრებული სპეციალური მოწყობილობის გამოყენების დროს, დაიწესონ მუშაობის ოთხცვლიანი რეჟიმი. ამასთან მიაღწინონ კონკრეტულ ეკონომიკურ შედეგებს, — წარმოების ზრდას, პროდუქციის ხარისხის აქტიურობას. კერძოდ, ამას ისახავს მიზნად სახელმწიფო საწარმოს (გაერთიანების) კანონის პროექტიც, რომელსაც ახლა ფართოდ განვიხილავთ.

პროექტის დებულებანი, აღნიშნეს ორატორებმა, საერთოდ შეესაბამება მშრომელთა აზრებსა და განწყობილებას. მაგრამ იგი მეტისმეტად დეკლარაციულია. საწარმოთა ზოგიერთი კონკრეტული უფლება მმართველობასა და დაგეგმვაში ზუსტად არ არის ჩამოყალიბებული.

დელეგატებმა კონკრეტული მაგალითებით ცხადყვეს, რომ ახალ ამოცანებს ძველი მიდგომის საფუძველზე ვერ გადაწყვეტთ. მაგალითად, არცთუ იშვიათად შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას არ ისმის პროფორგის პრინციპული აზრი, სამაგიეროდ ძალუმად გაისმის ბრიგადირის ხმა. პროფკავშირთა საბჭოები და კომიტეტები უფრო გაბედულად უნდა მიდიოდნენ პროფჯგუფებში, ადგილებზე ამკვიდრებდნენ სამიან მიდგომას. გამოითქვა წინადადება, რომ პროფკავშირულ ხელმძღვანელთა მუშაობა ძირეული რგოლების საქმიანობის მიზედვით შეფასდეს ხოლმე.

ყრილობაზე შეშფოთება გამოთქვეს იმის გამო, რომ პროფკავშირული ორგანოების რთული მექანიზმი ნელა თავისუფლდება რუტინული მეთოდებისაგან. კერძოდ, წამოაყენეს წინადადება, შეიტანონ ცვლილებანი საკავშირო პროფსაბჭოს მეტისმეტად რთულ, მოუქნელ სტრუქტურაში. აპარატი უფრო უკეთ უნდა ეგზაურებოდეს ადგილბრივ ინიციატივას.

წარმოების სფეროების დემოკრატიზაციის, თვითმმართველობის საწყისების დანერგვის ფორმების ძიება — სწორედ ეს არის პროფკავშირული მუშაობის გარდაქმნის საფუძველი. ქვეყანაში უკვე მიქმედებს შრომითი კოლექტივების ათასობით საბჭო. ვერ დავუშვებთ, რომ ისინი ფორმალურ ორგანიზაციებად გადაიქცნენ. ამასთან დაკავშირებით გაუგებარია საკავშირო პროფსაბჭოს პოზიცია, რომელსაც დღემდე არ შეუმუშავებია სანიმუშო დებულება ასეთი საბჭოს შესახებ.

სამანდატო კომისიის მოხსენება გაკეთა მისმა თავმჯდომარემ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანმა **ვ. პ. პროვატოროვმა.**

როგორ დავძლიოთ სტერეოტიპები და ფორმალიზმი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციაში? როგორ შევმატოთ მას ნოვატორობის სულისკვეთება, ნამდვილად შემოქმედებითი შინაარსი? მხურვალე დაინტერესებით ლაპარაკობდნენ ამის შესახებ ლენინგრადის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ი. კორეფოვი**, კალინინის [illegible] ქარხნის 60 წლისთავის სახელობის ბამბეულის კომბინატის მრთველი, საოლქო პროფსაბჭოს მდივანი საზოგადოებრივ საწყისებზე **ვ. ა. კოლესოვი**, თათრეთის პროფკავშირთა საოლქო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ხ. ბაშტანიუკი**, სტავროპოლის მხარის აგროსამრეწველო კომპლექსის მუშაკთა პროფკავშირის იპატოვოს რაიკომის თავმჯდომარე **ვ. ი. ავდეევი.**

უწინარეს ყოვლისა, მათი აზრით, უნდა შეიცვალოს თვით პრინციპები, რომელთა საფუძველზე წარმოებს ახალი შეჯიბრება კოლექტივებში. პროფკავშირული კომიტეტები უფრო მტკიცედ, გაბედულად უნდა იბრძოდნენ შრომითი მეტოქეობის შედეგების შეფასებაში მთლიანი, რაოდენობრივი მიდგომის დაძლევისათვის. დრო, უარი ვთქვათ მეორეხარისხოვან ორიენტირებზე, მოვახმაროთ მთელი ძალისხმევა მთავარი მიზნების მიღწევას: შრომის ნაყოფიერებისა და ხარისხის ზრდას, რესურსების ეკონომიას, სახელშეკრულებო ვალდებულებათა შესრულებას.

ყრილობაზე აღინიშნა, რომ სოციალისტური შეჯიბრების განვითარება, სამეურნეო ანგარიშის პირობებში მუშაობა მოითხოვს საკავშირო პროფსაბჭოს განსაკუთრებულ ყურადღებას ადამიანთა ეკონომიკური განათლებისადმი.

დღესდღეობით კი შრომითი მეტოქეობის რიგითმა მონაწილეებმა ზირად არც კი იციან, რისგან იქმნება პროდუქციის თვითღირებულება, სხვა მაჩვენებლები.

პროფკავშირთა მეტ ყურადღებას მოითხოვს მომიჯნავეთა შეჯიბრებაც. სახელმწიფო მიღების პირობებში განსაკუთრებით გაიზარდა მისი როლი. მაგრამ ძველებური მიდგომა უკვე მიუღებელია. საჭიროა უფრო აქტიურად წარვმართავდეთ კოლექტივების ერთობლივ ბრძოლას საუკეთესო საბოლოო შედეგების მისაღწევად.

ეს პროფკავშირულ აქტივისტებს შეუძლიათ.

გარდაქმნის ბედისათვის, აღნიშნეს ორატორებმა, პასუხს აგებს პროფესიული კავშირის თითოეული წევრი. და საჭიროა ყველა პირობა შეიქმნას იმისათვის, რომ ადამიანთა ენერგია და ოსტატობა ხმარდებოდეს საქმის გაუმჯობესებას, არ იქცაქსენოდეს ქაღალდთმოსზვეულობის, სათათბირო ფაციფუცის შრომითი პროცესის უხეირო ორგანიზაციის შედეგად. პროფკავშირთა დაუღალავი ზრუნვის საგანი უნდა გახდეს მოწინავეების, საუკეთესო კოლექტივების გამოცდილების უფრო ენერგიული გავრცელება.

(დასასრული მე-3 გვ.).

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საბჭოთა კავშირის პროფესიულ კავშირთა ცენტრალურმა საბჭომ მიიღეს დადგენილება „წარმოების ეფექტიანობის გაძიდების მიზნით მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე მრეწველობისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადასვლის შესახებ“.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ პარტიის XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის იანვრის პლენუმის მითითებათა რეალიზაცია, რომელთა მიზანია შექმნილი საწარმოო პოტენციალის გამოყენების გაუმჯობესება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება და ეკონომიკის ეფექტიანობის ზრდა, განსაკუთრებულ არის დაკავშირებული მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტის, აგროსამრეწველო კომპლექსისა და სხვა დარგების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების გადასვლასთან. ამ ამოცანის გადაწყვეტა სახალხო მეურნეობის გარდაქმნის, განვითარების ინტენსიურ გზაზე მისი გადაყვანის შემადგენელი ნაწილია.

ლენინგრადის, ხარკოვის, ულიანოვსკისა და სხვა ოლქების საწარმოთა შრომითი კოლექტივების მუშაობის გამოცდილება დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ მოწყობილობის გადაყვანა ორ და სამცვლიან მუშაობაზე საშუალებას გვაძლევს მოკლე დროში არსებითად გავზარდოთ წარმოების ეფექტიანობა და ამავე დროს ქმნის მშრომელთა სოციალურ-საყოფაცხოვრები პირობების გაუმჯობესების შესაძლებლობებს.

ამასთანავე დადგენილებაში აღნიშნულია, რომ კოლექტივების ეს მნიშვნელოვანი ინიციატივა ჯერჯერობით ფართოდ არ ვრცელდება, ცალკეულ პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო და პროფკავშირულ ორგანოებს კვლავინდებურად ძირითადად განვითარების ექსტენსიური გზის იმედი აქვთ, კვლავ ცდილობენ მიიღონ დამატებითი კაპიტალური დაბანდებები, რომ ახალი სამუშაო ადგილები ჩამოაყალიბონ შრომითს, მატერიალურ და ფინანსურ რესურსებთან დაკავშირებით რეალურად შექმნილი ვითარების გაუთვალისწინებლად, შექმნილი საწარმოო პოტენციალი კი მცირე უკუგებით გამოიყენება. ამიტომ ძნელდება შრომითს კოლექტივებში გადაუდებელი სოციალურ-საყოფაცხოვრემო ამოცანების გადაწყვეტა.

სსრ კავშირის სამინისტროები და უწყებები და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოები არ იჩენენ თანამიმდევრულობასა და სიმტკიცეს იმაში, რომ გაადიდონ მოწყობილობის დატვირთვა, გადაიყვანონ გაერთიანებები და საწარმოები მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე, არ უზრუნველყოფენ ძირითადი ფონდების კვლავწარმოების პროცესების მიზანშიმართულ მართვას.

მთლიანად არ გამოიყენება მოქმედი საწარმოო სიმძლავრეები ან, მშენებლობაში, სოფლის მეურნეობაში. არასასიკეთო მდგომარეობა შეიქმნა მანქანათმშენებლობაში, სადაც მოწყობილობის მუშაობის ცვლიანობის კოეფიციენტი სისტემატურად მცირდება, ბევრი საწარმო მუშაობს ერთ ცვლად. განსაკუთრებით დაუშვებელია, როცა უახლეს ტექნიკას — რიცხეული პროგრამული მართვის ჩარხებს, დამუშავებელ ცენტრებს, სამრეწველო რობოტებს, მოქნილ საწარმოო მოდულებს, გამთვლითს კომპლექსებს ცვლიანობის დაბალი კოეფიციენტი აქვთ.

მორალური და მატერიალური სტიმულირების სისტემა საკმაო დაინტერესებას არ იწვევს მუშებსა და სპეციალისტებში საიმისოდ, რომ უფრო სრულად და ეფექტიანად გამოიყენონ ტექნიკა.

ორ და სამცვლიან მუშაობაზე საწარმოო დარგების საწარმოთა აქტიურ გადაყვანას ხელს არ უწყობს ტრანსპორტის, ვაჭრობის, ჯანმრთელობის დაცვის, განათლების, კულტურისა და მომსახურების სფეროს სხვა დარგების დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმის შეუთანხმებლობა.

სკკპ ვენტრალურმა კომიტემ, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ საქმიროდ ცნეს 1987-1988 წლებში განხორციელდეს მოწყობილობის გადაყვანა მუშაობის ორცვლიან რეჟიმზე, ხოლო უნიკალური და ძვირადღირებული მოწყობილობისა — სამცვლიან რეჟიმზე. იქ, სადაც საჭიროა წარმოების პირობების გამო და განსაკუთრებული სპეციალური მოწყობილობის გამოყენების დროს, დაიწესონ მუშაობის ოთხცვლიანი რეჟიმი. ამასთან მიაღწინონ კონკრეტულ ეკონომიკურ შედეგებს, — წარმოების ზრდას, პროდუქციის ხარისხ-ზნით საჭიროდ ცნეს უპირველეს ამოცანად ჩაითვალოს მასობრივი სამავშვო-საყმაწვილო და სტუდენტური ფეხბურთის შემდგომი განვითარება, შეიქმნას სპორტული რეზერვის ძიებისა და შერჩევის, რესპუბლიკის წმაყვანი გუნდებისათვის მაღალი კლასის ფეხბურთელთა მომზადების ერთიანი ეფექტიანი სისტემა, დაიხვეწოს ფეხბურთელთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ფორმები, უნარიანად გამოვიყენოთ სპორტი ახალგაზრდობის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისათვის, სათანადო წესრიგი დამყარდეს შეჯიბრებათა ორგანიზაციაში, მკაცრი მსჯელობის საგანი გახდეს სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა არაეთიკური ქცევის ყოველი ფაქტი, ნიადაგ ექცეოდეს ყურადღება ფეხბურთის მოყვარულთა შორის აღმზრდელობითს მუშაობას, ფეხბურთის, წამყვანი გუნდების პრობლემები განიხილებოდეს საჯაროობისა და საზოგადოებრიობის ფართო ინფორმირების ვითარებაში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს და სამდივნოს სხდომებზე განიხილეს რესპუბლიკის სახალხო-სამეურნეო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების ზოგიერთი სხვა საკითხიც.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა პროდუქციის სახელმწიფო მიღების პირობებში საწარმოო გაერთიანება „საქელეტრომანქანის“ თბილისის ქარხანა „მიკროძრავას“ ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მუშაობის საკითხი. აღინიშნა, რომ გაერთიანების ხელმძღვანელობისა და პარტიული ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ღონისძიებანი ვერ უზრუნველყოფს პროდუქციის ჯარისხის გაუმჯობესებას და მაღალ საბოლოო შედეგებს. ამან გამოიწვია ის, რომ ვერ შესრულდა იანვრის ტექნიკურ-ეკონომიკური მაჩვენებლები და თებერვლისა და მოლიანად პირველი კვარტლის საგეგმო დავალებათა ჩაფუშვის საფრთხე შეიქმნა. დასახულია შექმნილი ვითარების გამოსწორების პრაქტიკული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მკაცრი მოხმარების საქონლის წარმოების 1986 წლის გეგმის შესრულების შედეგები და პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანები რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამის რეალიზაციის უზრუნველსაყოფად. ცენტრალური კომიტეტის ბიურომ არასაკმარისად ცნო სახალხო მოხმარების საქონლის წარმოების განვითარების რესპუბლიკური კომპლექსური პროგრამის რეალიზაციისათვის მუშაობა და აღნიშნა, რომ არადამაკმაყოფილებლად იმუშავეს მთელმა რიგმა სამინისტროებმა, უწყებებმა, საწარმოო გაერთიანებებმა და საწარმოებმა, რომლებმაც ვერ შეასრულეს 1986 წლის საგეგმო დავალებანი.

საქართველოს კომპარტიის საოლქო, საქალაქო, რაიონულ კომიტეტებს, აფხაზეთის ასსრ და აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოებს, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის, საქართველოს სსრ ქალაქებისა და რაიონების სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომებს დაევალათ მკაცრი კონტროლი დაუწესონ გეგმებისა და კომპლექსური პროგრამის დავალებების შესრულებას, გაზარდონ მათ ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებში სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვების მართვის ქმედითობა და ოპერატიულობა, ეფექტიანი ღონისძიებები განახორციელონ, რათა უფრო სრულად დააკმაყოფილონ მოსახლეობის სამომხმარებლო მოთხოვნილება.

განიხილა რა რესპუბლიკის სახაგრომრეწვის სისტემის ფინანსური მდგომარეობის საკითხი, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ მკაცრი, პრინციპული შეფასება მისცა აქ არსებულ ნაკლოვანებებს და დასახა მათი აღმოფხვრის პრაქტიკული ღონისძიებანი.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა რესპუბლიკის კაპიტალურ მშენებლობაში პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის სერიოზულ დარღვევათა საკითხი და მიიღო შესაბამისი დადგენილება, რომლის შინაარსიც გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიურომ განიხილა სამეურნეო ანგარიშისა და კოლექტიური იჯარის დანერგვისათვის დმანისის რაიონის ეგრისის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობა-კომბინატში მიმდინარე მუშაობის საკითხი და იგი არადამაკმაყოფილებლად ცნო. ამ საკითხზე მიღებული დადგენილების შინაარსი გამოქვეყნდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ მოისმინა სკკპ წევრის, საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარის ა. კარანაძის ინფორმაცია იმ ღონისძიებათა შესახებ, რომლებიც ხორციელდება უშრომელი შემოსავლის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერების თაობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილების მოთხოვნათა რეალიზაციისათვის. აღნიშნა რა, რომ რესპუბლიკის უმაღლესი სასამართლო გარკვეულ მუშაობას ეწევა სკკპ ცენტრალური კომიტეტის აღნიშნული დადგენილების მოთხოვნათა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის შესაბამის გადაწყვეტილებათა მიხედვით, ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ ამავე დროს ყურადღება მიაპყრო იმას, რომ რესპუბლიკის სასამართლო ორგანოების საქმიანობაში ჯერ კიდევ არ არის აღმოფხვრილი ნაკლოვანებანი, რომლებიც ამცირებს მექრთამეობის, სოციალისტური საკუთრების დაცვის, სპეკულაციის, უშრომელი შემოსავლის მიღების სხვა წყაროების წინააღმდეგ ბრძოლი გატარებული ღონისძიებათა ეფექტიანობას.

საქართველოს სსრ უმაღლეს სასამართლოს, მის პარტიულ ორგანიზაციას დაევალათ განაგრძონ რესპუბლიკაში მართლმსაჯულების აღსრულების ხარისხის ამაღლების, სახალხო სასამართლოების საქმიანობის გარდაქმნისათვის გამიზნული ღონისძიებების განხორციელება, რათა უზრუნველყონ სახელმწიფო ინტერესებისა და მოქალაქეთა უფლებების საიმედო დაცვა, სოციალისტური კანონიერების უმკაცრესი დაცვა, გადიდონ დამნაშავეობის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანობა.

განხილულია რესპუბლიკაში ფეხბურთის მდგომარეობისა და მისი შემდგომი განვითარების ღონისძიებათა საკითხი. საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის სამდივნომ აღნიშნა, რომ ამ მიმართულებით საკმარის მუშაობას არ ეწევიან რესპუბლიკის მთელი რიგი სამინისტროები და უწყებები. გამოვლენილ ნაკლოვანებათა აღმოფხვრის მიზნით საჭიროდ ცნეს უბირველეს ამოცანად ჩაითვალოს მასობრივი სამავშვო-საყმაწვილო და სტუდენტური ფეხბურთის შემდგომი განვითარება, შეიქმნას სპორტული რეზერვის ძიებისა და შერჩევის, რესპუბლიკის წმაყვანი გუნდებისათვის მაღალი კლასის ფეხბურთელთა მომზადების ერთიანი ეფექტიანი სისტემა, დაიხვეწოს ფეხბურთელთა იდეურ-ზნეობრივი აღზრდის ფორმები, უნარიანად გამოვიყენოთ სპორტი ახალგაზრდობის აქტიური მოქალაქეობრივი პოზიციის ჩამოყალიბებისათვის, სათანადო წესრიგი დამყარდეს შეჯიბრებათა ორგანიზაციაში, მკაცრი მსჯელობის საგანი გახდეს სპორტსმენთა, მწვრთნელთა, მსაჯთა არაეთიკური ქცევის ყოველი ფაქტი, ნიადაგ ექცეოდეს ყურადღება ფეხბურთის მოყვარულთა შორის აღმზრდელობითს მუშაობას, ფეხბურთის, წამყვანი გუნდების პრობლემები განიხილებოდეს საჯაროობისა და საზოგადოებრივ-ეროვნული, ისე გლობალური ხასიათის უმწვავესი პრობლემებით.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ დიდი პატივისცემით ეკიდება იტალიელ ხალხს და აქვს სურვილი კვლავ შეხვდეს მას, დიდი შეფასება მისცა სსრ კავშირისა და იტალიის პოლიტიკურ დიალოგს, კმაყოფილება გამოთქვა ეკონომიკური ურთიერთობის გამო და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განავითაროს იგი ახლებურად იმ იმედით, რომ ეს შეესაბამება როგორც იტალიის, ისე სსრ კავშირის ინტერესებს, სასარგებლო იქნება ევროპისა და მშვიდობის საქმისათვის.

(საძდესი).

მ. ს. გორბაჩოვი ესაუბრა ა. ფანფანის

24 თებერვალს კრემლში მ. ს. გორბაჩოვი შეხვდა იტალიის რესპუბლიკის სენატის თავმჯდომარეს ამინტორე ფანფანს. თანამოსაუბრეები შეეხნენ თანამედროვეობის უმთავრეს საკითხებს. ფა-ბასი გაიმართა იმის შესახებ, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრია პოლიტიკურ მოღვაწეებს თავიანთი ქვეყნების, ევროპისა და მსოფლიოს ბედისათვის, რა ადგილი ეკუთვნის თანამედროვე მსოფლიო პროცესში საბჭოთა კავშირსა და იტალიას, რა როლი ეკისრება მეცნიერებას პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, რა მნიშვნელობა აქვს იდეოლოგიურად მსგავსასხვა ძალებს შორის ურთიერთგაგებასა და სერიოზულ, პატივისცემელურ დამოკიდებულებას იმისადმი, რომ თითოეული ხალხი თავად იჩჩევდეს ისტორიულ გზას.

ითქვა, რაოდენ საჭიროა, განსაკუთრებით ახლანდელ ეტაპზე, ქვეყნის ხელმძღვანელობას კავშირი ჰქონდეს ხალხთან, შეეძლოს არა მარტო შეასწოროს პოლიტიკა იმის შესაბამისად, თუ როგორ აღიქვამენ მას მასები და რა გავლენას იხდენს იგი მათზე, არამედ უზრუნველყოს უკუკავშირი, ხელმძღვანელობდნენ იდეებით, აზრებით, რჩევით, რომლებიც ხალხისაგან გამომდინარეობს.

თანამედროვე სახელმწიფოს განვითარებისათვის უაღრესად საჭიროა ვეძებდეთ, ვავლენდეთ და განვსაზღვრავდეთ ტალანტებისათვის სათანადო ადგილს, თანაც არა მარტო წარმოების, მეცნიერების, ტექნიკის, კულტურის სფეროში, არამედ თვით პოლიტიკისა და საზოგადოებრივი მოღვაწეობის სფეროშიც.

მ. ს. გორბაჩოვი ა. ფანფანის ესაუბრა იმაზე, თუ როგორ ამუშავებდნენ სსრ კავშირის ახლანდელ საშინაო და საგარეო პოლიტიკას, რომ ზოგიერთი მიდგომა ქვეყნის წინაშე დასახული ამოცანების გადაწყვეტისადმი უკვე ნაპოვნია, სხვები კი ჯერ კიდევ უნდა გამოიკვლიონ და ჩამოაყალიბონ.

გარდაქმნის პოლიტიკა მოამზადა ქვეყნის განვითარების მთელმა ობიექტურმა მიმდინარეობამ, ჩვენი სახელმწიფოს მთელმა რთულმა და ძნელმა ისტორიამ. მისი მოთხოვნილება დიდი ხანია ყალიბდებოდა, მაგრამ ეს მოგვიანებით შეენიშნეთ, და, ხატოვნად რომ ვთქვა, ბავშვის ძველი ტანსაცმელი ჰაბუკს ტანზე აკდებოდა. საზოგადოება მომწიფდა, დიდი ჯაფით მიაგნო ცვლილებებს, რომლებიც ახლა ხორციელდება. შორი გზა გვაქვს. ვიცით მტკიცედ, თანამიმდევრულად, მაგრამ წინდაბედულადაც, რათა არ შევარყიოთ ხომალდი და არც ეკიპაჟს, არც მგზავრებს გულს არ ეზიანებოდეთ. ამასთან მკაცრად ვიხელმძღვანელებთ სოციალისტური პრინციპებითა და კრიტერიუმებით.

ა. ფანფანმ აღნიშნა, თუ რა უდიდეს ინტერესს იჩენენ იტალიაში, იტალიის საზოგადოების ყველა ფენაში იმისადმი, რაც ახლა საბჭოთა კავშირში ხდება, თქვა, რომ პოლიტიკურად შეგნებული თითოეული იტალიელი წარმატებას უსურვებს საბჭოთა ხელმძღვანელობას იმ გარდაქმნებში, რომლებიც დაიწყო. რადგან საბჭოთა კავშირში დაწყებულის წარმატებას უდიდესი მნიშვნელობა ექნება მთელი მსოფლიოსათვის. წარუმატებლობა კი ტრაგედიაა კაცობრიობისათვის.

საერთაშორისო სიტუაცია მ. ს. გორბაჩოვმა დაახასიათა როგორც არადამაკმაყოფილებელი. გამალებული შეიარაღება გრძელდება, ომის რისკი იზრდება. გამოსავალია საერთაშორისო ურთიერთობის ჰუმანიზაცია. ამისათვის კი საჭიროა ახალი აზროვნება, რომელიც გამომდინარეობს საყოველთაო ურთიერთდამოკიდებულების გაგებიდან და რომელსაც საფუძვლად უდევს ცივილიზაციის გადარჩენის იდეა.

თუ ამას შეიგნებენ და ხორცს შეასხამენ პოლიტიკით, ეს იქნება გონების გამარჯვება. ჩვენი მხრივ არა მარტო ვაცხადებთ ახალ შეხედულებას მსოფლიოზე, არამედ ვცდილობთ კიდეც რაღაც რეალური გავაკეთოთ. და არა იმიტომ, რომ ვინმეს თავი მოვაწონთო, არამედ იმიტომ, რომ ეს საჭიროა როგორც ჩვენი საშინაო პრობლემების, ისე საერთო, საერთაშორისო პრობლემების გადაწყვეტისთვისაც, რომლებსაც აგრეთვე მთელი პასუხისმგებლობით ვეკიდებით.

თანამოსაუბრეებმა ბევრი რამ საერთო აღმოაჩინეს იმის გაგებაში, რაც ახლა სჭირდება კაცობრიობას, რომელმაც მიაღწია მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მაღალ დონეს და ამავე დროს დამძიმებულია როგორც შიდაეროვნული, ისე გლობალური ხასიათის უმწვავესი პრობლემებით.

მ. ს. გორბაჩოვმა თქვა, რომ დიდი პატივისცემით ეკიდება იტალიელ ხალხს და აქვს სურვილი კვლავ შეხვდეს მას, დიდი შეფასება მისცა სსრ კავშირისა და იტალიის პოლიტიკურ დიალოგს, კმაყოფილება გამოთქვა ეკონომიკური ურთიერთობის გამო და განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირი მზად არის განავითაროს იგი ახლებურად იმ იმედით, რომ ეს შეესაბამება როგორც იტალიის, ისე სსრ კავშირის ინტერესებს, სასარგებლო იქნება ევროპისა და მშვიდობის საქმისათვის.

(საძდესი).

მადლობა თქვენდა, დიდო მასწავლებელო!

აი იგი, ჩვენი სიამაყე, ჩვენი დიდება, ანი წლის მეცხიერი და მასწავლებელი აკაკი შანიძე — ქართული მეცნიერების მუხლჩაუხრელი მსახური. მადლიერი საქართველო დიდი სიყვარულითა და პატივისცემით აღნიშნავს თავისი გამოჩენილი მამულიშვილის სახელოვან იუბილეს და საჯაროდ უცქადებს მას მადლობას. მაგრამ ამ მადლობას სხვა დანიშნულებაც აქვს: ადამიანის სულიერი თვალსაწიერის არეში მუდამ იყოს ამ შესანიშნავი მოღვაწის სახე და მის მრავალრიცხოვან მოწაფეებს მარად ახსოვდეთ: აი ის დონე, რომელსაც უნდა ესწრაფოდეთ!

აკაკი შანიძე ცოცხალი მატიანეა ქართული სიგანთმეცნიერო და ფილოლოგიური სკოლისა, რომელსაც დღეს მთელს მსოფლიოში კარგად იცნობენ. ამაში კი დიდია ღვაწლი მეცნიერისა, რომელიც მუდამ იმის ცდაში იყო, რომ, რაც შეიძლება მეტი ადამიანისათვის გადაეშალა მრავალსაუკუნოვანი ქართული ენის სიმდიდრე და დაენახვებინა გონებისა და სულის მწვერვალებისაკენ მიმსწრაფი მისი პატარა მშობლიური ქვეყანა. აკი შეძლო კიდეც, შეძლო იმდენად, რომ დღეს აკაკი შანიძის სახელი განუყოფელია საბჭოთა საქართველოსაგან, მისი კულტურის, მისი მეცნიერების მიღწევებისაგან.

აკაკი შანიძეს უზენაეს ბედნიერებად მიაჩნია მამულის, მეცნიერების სამსახური. ასე განვლო მან ცხოვრების გრძელი, ასწლოვანი გზა, და აქედან სამოცდაათ წელზე მეტი იღვაწა ქართულ უნივერსიტეტში, რომლის ერთ-ერთი დამაარსებელი ერის სხვა მოწინავე შვილებთან ერთად თავად გახლავთ. ამ მან აღზარდა მეცნიერთა არაერთი თაობა, რომლებსაც ჩვეული ოსტატობით გადასცემდა სიბრძნისა და პატრიოტიზმის, სიყვთისა და პატიოსნების დაუვიწყარ გაკვეთილებს.

დღეს მხოვანი მეცნიერი სავსებით დამსახურებულად იმკის ხალხის სიყვარულსა და აღიარებას. ამ აღიარების ნათელი დადასტურება იყო საიუბილეო საღამო, რომელიც 26 თებერვალს გაიმართა თბილისის ზაქარია ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიურ თეატრში.

დარბაზში შეიკრიბნენ რესპუბლიკის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები, ცნობილი მეცნიერები საბჭოთა კავშირის სამეცნიერო ცენტრებიდან, მათი საზღვარგარეთელი კოლეგები ინგლისიდან, ამერიკის შეერთებული შტატებიდან, ბელგიიდან, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, საქართველოს მოსწავლე ახალგაზრდობა.

საიუბილეო საღამოს დაესწრნენ ამხანაგები ე. ი. პატიაშვილი, პ. გ. გილაშვილი, გ. ნ. ენუქიძე, ო. გ. ვარძელაშვილი, ბ. ვ. ნიკოლსკი, ო. ე. ჩერქეზია, ნ. ა. ჯოთანავა, ნ. რ. საჯაია.

(დასასრული მე-3 გვ.).

ᲓᲐᲕᲫᲚᲘᲝᲗ ᲡᲘᲫᲜᲔᲚᲔᲑᲘ, ᲬᲐᲠᲛᲐᲢᲔᲑᲘᲗ ᲓᲐᲕᲐᲛᲗᲐᲕᲠᲝᲗ ᲬᲔᲚᲘ!

როგორც უკვე ვიუწყებოდით, გაიმართა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „რესპუბლიკის პარტიული ორგანიზაციების ამოცანები „სტიქიური უბედურების შედეგების ლიკვიდაციისათვის საქართველოს სს რესპუბლიკისადმი დახმარების ღონისძიებათა შესახებ“ სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1987 წლის 12 თებერვლის დადგენილების შესაბამისად და მეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა შესრულების უზრუნველსაყოფად“.

პლენუმზე მოხსენება გააკეთა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ჯ. ი. პატიაშვილმა.

ქვემოთ იბეჭდება მოხსენების მოკლე შინაარსი.

ამხანაგებო!

ჩვენი დღევანდელი პლენუმი ერთსა და იმავე დროს მორიგიც არის და საგანგებოც.

მორიგია იმიტომ, რომ შეიკრიბა პარტიის წესდებით დადგენილ ვადაში. ამასთანავე იგი საგანგებოა, ვინაიდან მოვიწვიეთ რესპუბლიკაში ხანგრძლივი დადგომილების, ინტენსიური ზვავების, კოეფიციენტული წვიმების, წყალდიდობისა და მეწყერების შედეგად შექმნილი საგანგებო ვითარების გამო.

როგორც ყოველთვის, ძნელებდნის ჟამს, განსაკუთრებით ბოლო პერიოდში არ დაიყოვნა ბუნებრივმა, არ დაიყოვნ

დავძლიოთ სიძნელენი, წარმატებით დავამთავროთ წელი

(დასასრული)

მებრძოლურად მოქმედებდნენ ოპერატიული შტაბები ადგილებზე, სტიქიური უბედურების რაიონებში, პარტიის საქალაქო და რაიონული კომიტეტების პირველი მდივნების მეთაურობით. ზუსტად და შეთანხმებულად მუშაობდნენ ოპერატიული შტაბები პარტიის ქუთაისისა და ჭიათურის საქალაქო კომიტეტების პირველი მდივნების ტ. ლორთქიფანიძისა და ო. ზოფერიას, პარტიის მესტიის, ხობის, ლენტეხის, ზესტაფონის, ცხაკაიას რაიკომების პირველი მდივნების მ. უშბაევის, ზ. ერქვანიას, ა. ტოტოჩავას, ჯ. გორგოძის, ბ. ჯიქიას, აბაშიძის პარტიის ზუგდიდის რაიკომის პირველი მდივნის, ხელმძღვანელობით. უნდა ითქვას, რომ ყველაზე პასუხსაგებ მომენტებში ამ ამხანაგებმა თავი გამოიჩინეს როგორც უნარიანმა, ნებისყოფიანმა ორგანიზატორებმა, დარაზმეს ადამიანები სტიქიის წინააღმდეგ საბრძოლველად, გვიჩვენეს გმირობისა და მამაცობის პირადი მაგალითი, როცა ყველაზე ძნელ უბნებზე იმყოფებოდნენ. მათთან ერთად მტკიცედ მოქმედებდნენ აღმასკომების თავმჯდომარეები ამხანაგები ვ. ოყრეშიძე, დ. გურული, ტ. ხვისტანი, ლ. ბუკია, დ. ტვილდიანი, ლ. გველესიანი, მ. ბელქანია და მრავალი სხვა.

დღეს უნდა დავასახელოთ აგრეთვე საჩხერის, ცაგერის, სამტრედიის, ამბროლაურის, ვანის, ლანჩხუთის, ონის, დუშეთის, ყაზბეგის, გალის, ოჩამჩირის რაიონების, ქალაქ ფოთის პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელები, სადაც საჭირო იყო ასევე სწრაფად, მტკიცედ მოქმედება, ოპერატიული ღონისძიებების განხორციელება.

როგორც ყოველთვის, საგანგებო ვითარებაში, ექსტრემალურ სიტუაციებში ყველაზე კაფიოდ და სრულად ვლინდება საბჭოთა ადამიანების საუკეთესო ზნეობრივი თვისებები, ხასიათის საუკეთესო ნიშნები — გამძლეობა, თავდადება, ნებისყოფა და სულის სიმტკიცე, მეგობრობისა და ნამდვილი ძმობის, თანადგომისა და თანაგრძნობის, ურთიერთდახმარებისა და ურთიერთშველის ღრმა ინტერნაციონალიზმის გრძნობა, ესოდენ რომ ახასიათებს ჩვენს ხალხს.

ასე იყო, როცა მთელი ქვეყანა განიცდიდა ჩერნობილის ტკივილს.

ასეა ახლაც, როცა ჩვენს რესპუბლიკას თავს დაატყდა ასეთი სტიქიური უბედურება.

ამ დღეებში ათობით, ასობით ადამიანმა გამოიჩინა საოცარი გმირობა და მამაცობა, შეუღრეკლობა და თავდადება, როცა სიცოცხლის რისკით გადაარჩინეს ისინი, ვინც უბედურებაში ჩავარდა, სახელმწიფო ქონება, სახალხო დოვლათი. ადამიანები აკეთებდნენ ყველაფერს, რაც შეეძლოთ და რაც საჭირო იყო იმ მომენტში.

დღეს თითოეულის დასახელება მინდა, თითოეულზე კეთილი სიტყვის თქმა, უფრო მეტიც, მინდა სათითაოდ ყველას ჩამოვართვა ხელი და სულითა და გულით მადლობა გადავუხადო. მაგრამ, სამწუხაროდ ეს შეუძლებელია: ძალზე ბევრი გვყავს კარგი ადამიანები, გუშინ, შეიძლება უცნობი, დღეს კი ნამდვილ გმირად ქცეული ადამიანები. ყველას შესახებ ვერ იტყვი, ყველას ვერ დასახელებ.

ამიტომ, ნება მიბოძეთ, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და მინისტრთა საბჭოს სახელით უღრმესი და გულითადი მადლობა გადავუხადო ყველა იმათ, ვინც ამ რთულ, დაძაბულ პერიოდში შეძლო სტიქიისათვის დაეპირისპირებინა ორგანიზებულობა და შეკავშირება, ნებისყოფა და სიმშვიდე, მაქსიმალური დარაზმულობა და ოპერატიულობა — ჩვენს მუშებსა და კოლმეურნეებს, სახალხო მეურნეობის სპეციალისტებს, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკებს, ჩვენი სამეცნიერო ინტელიგენციის წარმომადგენლებს, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებს, ჩვენს ქალებს, ჩვენს ახალგაზრდობას, პარტიულ, საბჭოთა, სამეურნეო ორგანოებს, პროფკავშირულ, კომკავშირულ ორგანიზაციებს, მთელ ჩვენს ხალხს.

განსაკუთრებით მინდა გამოვყო სამოქალაქო ავიაციის სამინისტროს საქართველოს სამართველოს მუშაკები, უწინარეს ყოვლისა ჩვენი მამაცი ვერტმფრინაველების პილოტები, ამერკაკასიის წითელდროშოვანი საბედო ოლქის მეომრები. სტიქიური უბედურების წინააღმდეგ საბრძოლველად პირადი შემადგენლობის დარაზმვისათვის დიდი მუშაობა გასწია ოლქის სარდალმა, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ბიუროს წევრმა გენერალ-პოლკოვნიკმა კ. ა. კოჩეტოვმა. ჩვენ გულწრფელ მადლობას ვიხდით დახმარებისა და მხარდაჭერისათვის, რომელიც გაუწიეს რესპუბლიკას გაჭირვების ჟამს.

ამასთან ჩვენ ქედს ვიხრით დღეს გმირი მეომრის, ჯავშნლისანსპორტორის მძღოლის, რიგითი ჯარისკაცის რაჰიპ მამედოვის ხსოვნის წინაშე, რომელმაც სიცოცხლის ფასად გადაარჩინა ხობის რაიონის სოფელ ჭალადიდის 28 მცხოვრები.

ასეთი რამ დაუვიწყარია. მისი გმირობა სამუდამოდ დარჩება ხალხის ხსოვნაში. მარნეულში სამირკველი ჩაეყარა მამაცი მეომრის მემორიალს. ხალხთა მეგობრობის მუზეუმის სტენდებზე მისი ფოტოსურათებია. თბილისის სამხატვრო აკადემიის სტუდენტები ამთავრებენ მუშაობას გმირის ბიუსტზე. იგი დაიდგმება ჯარისკაცის მშობლიურ სოფელში, აზერბაიჯანში, ახალი სკოლის შენობის წინ, რომლის მშენებლობაშიც საქართველოს ალკა ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებით მონაწილეობას მიიღებს ჩვენი რესპუბლიკის კომკავშირის დამკვრელი სამშენებლო რაზმი. ხობის რაიონის მშრომელებმა გადაწყვიტეს გულადი ამერკაკასიელი მეომრის სახელი უწოდონ ერთერთ საშუალო სკოლასა და პიონერულ რაზმს.

როცა რაჰიპ მამედოვი ადამიანებს შველოდა, არ იცოდა, რომ გმირობას სჩადიოდა. მისთვის ეს იყო მხედრული, კომკავშირული, მოქალაქეობრივი ვალის „მოხდა. გვჯერა, რომ გმირის სახელობის სკოლაში აღიზრდებიან მისი ღირსი ქალიშვილები და ჭაბუკები.

საქართველოს ყველა კუთხეში უდიდესი თანაგრძნობითა და ღრმა გაგებით, მოეკიდნენ იმას, რაც მოხდა რესპუბლიკის დასავლეთ რაიონებში, იმათ, ვინც დაზარალდა სტიქიური უბედურებისაგან, და ყოველმა ეს გასაჭირი ისე აღიქვა, როგორც საკუთარი. განსაკუთრებით მხურვალედ გამოეხმაურნენ ამას ქალაქ მარნეულის, ბოლნისის, გარდაბნის, დმანისის, მარნეულის, საგარეჯოს რაიონებისა და მთელი რიგი სხვა ქალაქებისა და რაიონების მშრომელები, რომლებმაც ბინები დაუთმეს მესტიისა და ლენტეხის რაიონებიდან გახიზნულ 350-ზე მეტ ოჯახს. აქვე, აგრეთვე ახალქალაქის, თეთრი წყაროსა და წალკის რაიონებში დამატებით მოამზადეს ბინები ჩამოსახლებულთა 450 ოჯახისათვის.

და აქ უდიდესი მადლიერების გრძნობით უნდა დავასახელოთ ამ რაიონების ხელმძღვანელები, პარტიული კომიტეტების პირველი მდივნები, სახალხო დეპუტატთა საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეები ამხანაგები ვ. ოყრეშიძე, დ. გურული, ტ. ხვისტანი, ლ. ბუკია, დ. ტვილდიანი, ლ. გველესიანი, მ. ბელქანია და მრავალი სხვა.

ეს ადამიანები, ეს ადამიანური ურთიერთდახმარება, ეს ერთგულება, ეს ერთიანობა, ეს ერთიანი ოჯახი — ეს ის ძალა, ეს ის ენერგია, ეს ის ენერგეტიკა, ეს ის ენერგეტიკული ბირთვი, ეს ის ენერგეტიკული ბირთვი, ეს ის ენერგეტიკული ბირთვი

სკკპ ცენტრალურ კომიტეტში, სსრკ კავშირის მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოში

(დასასრული)

ბის გაუმჯობესებასა და გამოშვების რიტმულობას, შრომის ნაყოფიერებას მატებას, კაპიტალურ დაბანდებებზე მოთხოვნილებათა შემცირებას, მუშაკთა შრომისა და ყოფის პირობების გაუმჯობესებას.

აღნიშნული მოთხოვნები საფუძვლად უნდა დაედოს წარმოებისა და კაპიტალურ დაბანდებათა დაგეგმვას, სიმძლავრეთა დაპროექტებასა და ამოქმედებას, შრომის რესურსებთან სამუშაო ადგილების რიცხვის შეწონასწორების უზრუნველყოფას და წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხრეთ, სოფლო, საოკრუგო, საქალაქო და რაიონული კომიტეტების, სსრ კავშირის სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოების, გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ყურადღება მიექცია იმის, რომ შუამბრალ ფრთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საპიერნეო-პოლიტიკური ამოცანაა საწარმოო პოტენციალის გამოყენების ძირეული გაუმჯობესების საქმეში. მთელი მეცადინეობა უნდა მიზმარდეს წარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას, ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის დაჩქარებულ განახლებას, სიმძლავრეთა საპროექტო დონის მიღწევას, მუშაობის მრავალცვლიანი რეჟიმით პროგრესული დიდმწარმოებლური ტექნიკის მაქსიმალურ გამოყენებას ძეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებული რეალიზაციის მიზნით. აღინიშნა, რომ უნდა უზრუნველყოთ შრომითის კოლექტივებში ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება, გასაგებად გავაცნოთ თითოეულ მუშაკს მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე საწარმოთა გადაყვანის არსი და საახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, გავაძლიეროთ მომთხოვნელობა ადრეული შერჩევისა და განაწილებისადმი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გათვალისწინებით.

შრომის ორ და სამცვლიანი რეჟიმის შემოღებისათვის მუშაობის ორგანიზაცია საწარმოო დარგებში

გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს პარტიულ, პროფკავშირულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან ერთად და მშრომელთა ფართო მონაწილეობით დაეკალათ უზრუნველყონ მოწყობილობის გადაყვანა მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე. სამისოდ ბრძანებულად იქნა მიჩნეული:

შეიმუშაონ ორ ან სამ ცვლად მუშაობაზე უბნების, საამქროების, წარმოებების გადაყვანის კონკრეტული ღონისძებნი. განსახილველო გადაყვანა ეტაპობრივად, მაქსიმალურად გამოიყენონ ძირითადი საწარმო ფონდები, განსაკუთრებით მათი აქტიური ნაწილი, ყოველი კვადრატული მეტრი საწარმოო ფართობი;

გაზრდონ სამუშაო ადგილების ტევადობა და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ მოწყობილობის დადგენილი პარკის სტრუქტურის გაუმჯობესებას და მისი მწარმოებლობის გაზრდას. ჩარხების, მანქანების, აგრეგატებისა და ყოველი სამუშაო ადგილის სრულ დატვირთვას. არ დაუშვან ფორმალური მიდგომა ამ მუშაობის შესრულებისადმი;

უფრო ფართოდ ჩაბან მუშები, ინჟინერ-ტექნიკრები, ტექნოლოგები და სხვა სპეციალისტები თანამედროვე ტექნოლოგიური პროცესების დანერგვის, შექანიზაციისა და ავტომატიზაციის საშუალებათა შემუშავებისა და შექმნის, წარმოების სპეციალიზაციისა და კოოპერირების გაღრმავების მეშვეობით წარმოების რაციონალიზაციის ღონისძიებათა შემუშავებასა და განხორციელებაში.

ეტესტაციის საფუძველზე ყველგან მოახდინონ მოქმედი მოწყობილობის მოდერნიზაცია, აღჭურვონ იგი ავტომატიზაციის, პროგრამული მართვისა და კონტროლის საშუალებებით, დიდმწარმოებლური ინსტრუმენტით და დეტალებით;

გადაიყვანონ მთელი დიდმწარმოებლური, უნიკალური და მეცნიერებატევადი მოწყობილობა ორმაგის სამ და ოთხცვლიან რეჟიმზე. მიაღწიონ იმას, რომ ამ მოწყობილობის ფიზიკური ცვეთა ან უსწრებდეს მის მორალურ ძველებას. სამინისტროებმა და უწყებებმა უნდა განსაზღვრონ ფეთი მოწყობილობის სიები;

გამოავლინონ და დაშალონ ველი, ფიზიკურად და მორალურად გაცვეთილი მოწყობილობა, ეგრეთვე ზედმეტი ნაკლებდატვირთული ტექნიკა. გამოთავისუფლებული საწარმოო ფართობები გამოიყენონ იმისათვის, რომ მოსონ ვიწრო ადგილები, გაადიდონ ნეფიციტური პროდუქციისა და სახალხო მოხმარების საქონლის გამოშვება, განავითაროონ ტექნიკური მოწყობილობის საკუთარი წარმოება საწარმოსა და დარგის საჭიროებებისათვის, შექმნან კომპლექსის თანამედროვე საშუალებები და გამოსაცდელი სტენდები, გაიფართოონ საექსპერიმენტო ბაზა პროდუქციის ხარისხის ასაწევად, ეგრეთვე მუშაკთა ჯანმრთელობისა და ყოფის პირობების გასაუმჯობესებლად;

უზრუნველყონ ზედმეტი მოწყობილობის რეალიზაცია ან გადაცემა თავიანთი შეზედულებისაებრ სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოს ტერიტორიაზე მდებარე საწარმოებისა და ორგანიზაციების მოთხოვნილებათა გათვალისწინებით. მისი რეალიზაციით მიღებული სახსრები მოახმარონ წარმოების განვითარების ფონდის გაზრდას, საჭირო შემთხვევებში ჩამოწერონ მოწყობილობა ჯართად, თუ იგი გაცვეთილია ან მორალურად მოძველებულია.

არ დაუშვან უბნების, საამქროებისა და წარმოებების გადაყვანა მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე ცვლათა მიხედვით მუშების მექანიკური გადანაწილების გზით ღრმა ეკონომიკური ანალიზის მოუწყობლად და საწარმოო საქმიანობის გაუთვალისწინებლად. უზრუნველყონ შრომის კანონმდებლობის მკაცრად დაცვა.

გარდაქმნან შრომის ორგანიზაცია და ამასთან განსაკუთრებული ყურადღება მიიპყრონ გამშოლი (მრავალცვლიანი) კომპლექსური ბრიგადების, აგრეთვე იჯარის პირობებით მომუშავე უბნებისა და საამქროების კოლექტივების შექმნას;

მოაწყონ მუშების გადამზადება და კვალიფიკაციის ამაღლება იმ მიზნით, რომ შემდგომში გამოიყენონ ისინი პროგრესული ტექნიკით და ტექნოლოგიით აღჭურვილ სამუშაო ადგილებზე და ახლად ორგანიზებულ წარმოებებში;

ყველა შრომითს კოლექტივში ჩაატარონ ფართო განმარტებითი მუშაობა შრომის მრავალცვლიან რეჟიმზე გადაყვანის მიზნებისა და ამოცანების შესახებ. გადაყვანა განახორციელონ მხოლოდ მას შემდეგ, რაც ღრმად დაამუშავებენ, გულდასმით მოამზადებენ და გადაწყვეტენ ამ საქმესთან დაკავშირებულ ყველა საწარმოო და სოციალურ საკითხს. შრომის ახალ რეჟიმზე გადასვლა უთუოდ უნდა განიხილონ ბრიგადების, უბნების, საამქროებისა და საწარმოების კოლექტივებში;

მოახმარონ კოლექტივის წევრთა შემოქმედებითი ძიება დასახული ამოცანის წარმატებით დაფიქრებულებს. ჩაუნერგონ მათ იმის შეგნება, რომ სრული სამეურნეო ანგარიშისა და თვითდაფინანსების პირობებში მუშაობის დროს ცვლიანობის ზრდა წარმოების ეფექტიანობის ზრდის აუცილებელი მოთხოვნაა.

სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს წინადადება მიეცათ მოაგვარონ მუშაობა შრომის მრავალცვლიან რეჟიმზე გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების დადგენა, ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე, ეტაპობრივ-ეტაპობრივ ცვლა-ცვლა ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი საეკონომიკურ-პოლიტიკური ამოცანაა საწარმოო პროგრესის გამოყენების ძირეული გაუმჯობესების საქმეში. მთელი მეცადინეობა უნდა მიზმარდეს წარმოების ტექნიკურ განახლებასა და რეკონსტრუქციას, ძირითადი ფონდების აქტიური ნაწილის დაჩქარებულ განახლებას, სიმძლავრეთა საპროექტო დონის მიღწევას, მუშაობის მრავალცვლიანი რეჟიმით პროგრესული დიდმწარმოებლური ტექნიკის მაქსიმალურ გამოყენებას ეფეთორმეტე ხუთწლედის დავალებათა წარმატებული რეალიზაციის მიზნით. აღინიშნა, რომ უნდა უზრუნველყოთ შრომითის კოლექტივებში ორგანიზატორული და მასობრივ-პოლიტიკური მუშაობის გაძლიერება, გასაგებად გავაცნოთ თითოეულ მუშაკს მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე საწარმოთა გადაყვანის არსი და საახალხო-სამეურნეო მნიშვნელობა, გავაძლიეროთ მომთხოვნელობა ადრეული შერჩევისა და განაწილებისადმი ქვეყნის წინაშე მდგომი ამოცანების გათვალისწინებით.

საკავშირო სამინისტროებისა და უწყებების, მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების, სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების, სსრკ კავშირის სამინისტროებთან და უწყებებთან, შესაბამის პროფკავშირულ ორგანოებთან, მომსახურების სფეროს და სოციალურ-კულტურული დარგების საწარმოებთან, ორგანიზაციებთან, დაწესებულებებთან ერთად დაეკალათ:

უზრუნველყონ 1987-1988 წლებში ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის, ვაჭრობის, საზოგადოებრივი კვებისა და მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა და ორგანიზაციათა, სასწავლებელთა, სკოლამდელ, კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა, სხვა ორგანიზაციათა, აგრეთვე სამართალდაცვით ორგანოთა მუშაობის რეჟიმის გარდაქმნა, ამასთან მხედველობაში იქონინონ, რომ მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასაყვან საწარმოო დარგების მუშა-მოსამსახურეებს შეუქმნან ყველაზე ხელშემწყობი პირობები დიდნაყოფიერი შრომისა და სრულფასოვანი დასვენებისათვის. ამასთან დაკავშირებით მომსახურების სფეროს ორგანიზაციებში განახორციელონ ღონისძიებანი, გაითვალისწინონ, მათი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შემდგომი გაუმჯობესება, შრომისა და საწარმოო დისციპლინის განმტკიცება, მინდობილი საქმისათვის თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობის გაძლიერება;

მაქსიმალურად გაითვალისწინონ მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასაყვან საწარმოო დარგების, საწარმოთა შრომითი კოლექტივების წინადადებები და სურვილები, ამისათვის გამოიყენონ სოციოლოგიური გამოკითხვა და საზოგადოებრივი აზრის შესწავლის სხვა ფორმები;

გაიფართოონ 1987-1988 წლებში საბავშვო ბაღებისა და ბაგების ქსელი, სადაც მთელ დღე-ღამეს იქნებიან ბავშვები, მხედველობაში იქონინონ, რომ მთლიანად დაკმაყოფილდეს მოთხოვნილებანი ამ სკოლამდელ დაწესებულებებზე. საჭიროების შემთხვევებში სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შექმნან მორიგე სადღეღამისო ჯგუფები, სადაც იქნება ბავშვთა ცვლადი შემადგენლობა 20 კაცზე ნაკლები ოდენობით;

კონკრეტული პირობების შესაბამისად გაითვალისწინონ, რომ ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში გაიზარდოს გახანგრძლივებული დღის ჯგუფები, იმ ბავშვებისთვის კი, რომლებსაც სკოლაში ხანგრძლივი ყოფნა სჭირდებათ, სახალხო დეპუტატთა რაიონული (საქალაქო) საბჭოს აღმასკომის გადაწყვეტილებით შექმნან ორმაგი ჯგუფები, სადაც იქნება მოსწავლეთა ცვლადი შემადგენლობა 30 კაცზე ნაკლები ოდენობით;

შექმნან საჭირო პირობები იმისათვის, რომ ბავშვები ამზადებდნენ გაკვეთილებს და ისვენებდნენ გახანგრძლივებული დღის ჯგუფებში, გაიფართოონ შესაძლებლობანი ტექნიკური, მხატვრული და სხვა თვითმოქმედი შემოქმედების წრეებში ბავშვთა მონაწილეობისა და ფიზიკურ კულტურასა და სპორტში მეცადინეობისათვის;

უზრუნველყონ საღამოსა და ღამის ცვლაში მომუშავე მუშა-მოსამსახურთა ცხელი კვება, დაიწესონ წარმოებისა და საერთო საცხოვრებლებში სასადილოებისა და ბუფეტების მუშაობის მათთვის მოსახერხებელი რეჟიმი;

განავითაროონ უშუალოდ გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში სავაჭრო ქსელი და საყოფაცხოვრებო მომსახურება, შექმნან საწარმოებში, მშენებლობებზე, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შრომითი კოლექტივების წინადადებების გათვალისწინებით ფეხსაცმლისა და ტანსაცმლის შეკეთების, თეთრეულის რეცხვის, ქიმიური წმენდის მიმღები პუნქტები, განავითაროონ ეაჭრობა წინასწარი შეკვეთებით;

გათვალისწინონ მორიგი მაღაზიების გახსნა დიდ საწარმოთა და მშენებლობათა უშუალო სიახლოვეს თითოეული ცვლის დამთავრების შემდეგ მუშაკთა მომსახურებისათვის;

დაიწესონ ჯანმრთელობის დაცვისა და კულტურის დაწესებულებათა მუშაობის რეჟიმი საწარმოო დარგებში მრავალცვლიანი მუშაობის გათვალისწინებით;

მოაწყონ მუშა ახალგაზრდობის სკოლების, საშუალო სპეციალური და უმაღლესი სასწავლებლების საღამოს განყოფილებების მუშაობა გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების მუშაობის რეჟიმის შესაბამისად;

საჭირო ცვლილებანი შეიტანონ საგარეუბნო და ადგილობრივი მატარებლების მიმოსვლის განრიგსა და მეტროპოლიტენების მუშაობაში, საერთო საგზაურების მიწისზედა სამგზავრო ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკებსა და მარშრუტებში, რათა მაქსიმალურად მოხერხებული პირობები შეექმნათ მრავალცვლიანი რეჟიმით მომუშავეებს;

უზრუნველყონ სპორტულ-გამაჯანსაღებელ ნაგებობათა მუშაობა კვირის ყველა დღეს მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გაერთიანებათა, საწარმოთა და ორგანიზაციათა გადაყვანის გათვალისწინებით.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს, სსრ კავშირის სამინისტროებსა და უწყებებს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან, სსრ კავშირის სახმომარაგებასთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დაეკალათ დადგენილი წესით გაითვალისწინონ მოსახლეობის მომსახურებით დასაქმებული საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებებისათვის მატერიალურ-ტექნიკური და ფინანსური რესურსების, აგრეთვე ამ დადგენილების შესაბამისად მათი მუშაობის რეჟიმის შეცვლასთან დაკავშირებით შრომის ლიმიტების გამოყოფა.

მრავალცვლიანი რეჟიმით მუშაობისათვის მუშა-მოსამსახურეთა მორალური და მატერიალური სტიმულირების ღონისძიებანი

სპეციალურ არის მიჩნეული მნიშვნელოვნად გაიზარდოს მრავალცვლიანი რეჟიმით მუშაობისათვის მუშების, სპეციალისტებისა და მოსამსახურეების მორალური სტიმულებისა და მატერიალური დაინტერესების როლი.

/გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს რეკომენდაცია იძლევათ პროფკავშირულ კომიტეტებთან ერთად:

სოციალისტური შეჯიბრების შედეგების შეჯამებისას, სპატეო წოდებებსა და სხვა ჯილდოებზე წარდგენისას, აგრეთვე წახალისების სხვა ღონისძიებათა განხორციელებისას უპირატესობა მიანიჭონ ბრიგადების, უბნებისა და საამქროების მუშაკებს, კოლექტივებს, რომლებიც მრავალცვლიანი რეჟიმით მუშაობენ და აღწევენ მაღალ საწარმოო მაჩვენებლებსა და მოწყობილობის ეფექტიან გამოყენებას;

მრავალცვლიანი რეჟიმით სამუშაოებში დასაქმებულ მუშაკებს მოუმატონ წლის შედეგების მიხედვით მუშაობის საერთო შედეგებისათვის ანაზღაურების ოდენობა;

საწარმოო აუცილებლობისა და არსებული შესაძლებლობების გათვალისწინებით შემოიღონ ღამის ცვლაში მობუშავე პირებისათვის ცხელი კვება უფასოდ ან დაკლებული ფასით სოციალურ-კულტურული ღონისძიებებისა და საბინაო მშენებლობის ფონდის (სოციალური განვითარების ფონდის) სახსრების ხარჯზე;

ყოველწლიური შვებულების მიცემისას უპირატესობა მიანიჭონ ამ მუშაკებს, აგრეთვე დასასვენებელი საგზურების განაწილების, სანატორიუმ-საბოსტნე ნაკვეთების გამოყოფისა და სხვა სოციალურ-საყოფაცხოვრებო მომსახურების გაწევის დროს.

მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელ დარგებში ორ და სამცვლიანი რეჟიმით მომუშავე მუშებს, ოსტატებს, უბნებისა და სხვა ქვეგანაყოფების ხელმძღვანელებს, სპეციალისტებსა და მოსამსახურეებს მიეცემათ:

ა) საღამოს ცვლაში მუშაობისათვის სართი საათობრივი სატარიფო განაკვეთის (თანამდებობრივი სარგოს) 20 პროცენტის ოდენობით, ხოლო ღამის ცვლაში მუშაობისათვის — 40 პროცენტის ოდენობით შესაბამის ცვლაში მუშაობის ყოველი საათისათვის. აღნიშნული სართი ღამის ცვლაში მუშაობისათვის გათვალისწინებულია მიეცეთ იმ შემთხვევაში, თუ მისი ხანგრძლივობის სულ ცოტა 50 პროცენტი მოდის ღამის დროზე (საღამოს 10 საათიდან დილის 6 საათამდე). ასეთი სართი შემოღებულია ღამის დროს მუშაობისათვის შრომის დამატებითი ანაზღაურების ნაკვლად. იმ შემთხვევებში, როცა საღამოს ან ღამის ცვლაში მუშაობისათვის შემოღებული სართი ნაკლებია ღამის დროს მუშაობის საათებისთვის დამატებითი ანაზღაურების თანხაზე, შენარჩუნებულია ღამის დროს მუშაობისათვის შრომის ანაზღაურების მოქმედი წესი, რომელიც გათვალისწინებულია კანონმდებლობით ცალკეული დარგების მუშაკებისათვის.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალურ საკითხთა სახელმწიფო კომიტეტს მიეკა უფლება საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად მიიღოს გადაწყვეტილება ცალკეულ საწარმოო დარგებში აღნიშნული სართის გამოყენებისა და შემოღების თავისებურებათა შესახებ;

ბ) დამატებითი შვებულებები ორ ცვლად მომუშავე მუშაკებს ყოველი ნამუშევარი ორი წლისათვის თითო დღის გაანგარიშებით, მაგრამ არა უმეტეს ორი დღისა, ხოლო სამ ცვლად მომუშავეებს — ყოველი ნამუშევარი წლისათვის თითო დღის გაანგარიშებით, მაგრამ არა უმეტეს ორი დღისა. შვებულებების ხანგრძლივობა განისაზღვრება ნამუშევარი საღამოს და ღამის ცვლების რაოდენობის მიხედვით. დადგენილია, რომ აღნიშნული დამატებითი შვებულებების უფლება აქვთ მუშა-მოსამსახურეებს, რომლებმაც იმუშავეს სამუშაო წლის მანძილზე საღამოს ან ღამის ცვლების სულ ცოტა 50 პროცენტი (სულ ცოტა 60 საღამოს ან 40 ღამის ცვლა). ამ შვებულებების მიცემისათვის მუშაობის სტაჟი 1987 წლის 1 იანვრიდან იანგარიშება.

ასეთი შვებულებები მიეცემათ შესაბამისი კატეგორიების მუშაკებისათვის გათვალისწინებული სხვა დამატებითი შვებულების გადაჯარბებით. ამასთან ყოველწლიური შვებულების საერთო ხანგრძლივობა არ უნდა აღემატებოდეს ერთ კალენდარულ თვეს (30 კალენდარულ დღეს), თუ კანონმდებლობით არ არის დადგენილი შვებულების მეტი ხანგრძლივობა.

მრავალცვლიანი რეჟიმით მუშაობისათვის აღნიშნული სართი და შვებულებები მიეცემათ შრომითი კოლექტივების მიერ გამომუშავებული სახსრების ხარჯზე ხელფასის ფონდისა და მატერიალური წახალისების ფონდის (მატერიალური წახალისების ერთიანი ფონდის) ფარგლებში, რომლებიც სტაბილური ნორმატივებით შეიქმნა.

სსრ კავშირის შრომისა და სოციალური საკითხების სახელმწიფო კომიტეტს დაევალა საკავშირო პროფსაბჭოსთან ერთად გამოაქვეყნოს საჭირო განმარტებანი საღამოს და ღამის ცვლაში მუშაობისათვის დამატებითი შვებულებების დადგენის წესის შესახებ.

ორ და სამცვლიანი მუშაობის პირობებში მრეწველობის, მშენებლობის, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის გაერთიანებებში, საწარმოებსა და ორგანიზაციებში, აგრეთვე აგროსამრეწველო კომპლექსის გადამმუშავებელ დარგებში შრომისა და დასვენების ყველაზე უფრო რაციონალური რეჟიმების გამოყენების მიზნით დადგინდა, რომ დღისა და საღამოს ცვლაში მუშაობის ნორმალური ხანგრძლივობა 5-დღიანი სამუშაო კვირის დროს არ უნდა აღემატებოდეს 8 საათს იმ დამატებითი ცვლების შესაბამისი გამომუშავებით, რომლებიც უზრუნველყოფენ წლის განმავლობაში სამუშაო კვირის კანონით გათვალისწინებული ხანგრძლივობის დაცვას. ღამის ცვლაში მუშაობის დრო მცირდება ერთი საათით. ამასთან წელიწადში სამუშაო დღეების საერთო რაოდენობა სამცვლიანი რეჟიმის პირობებში არ უნდა აღემატებოდეს სამუშაო დღეების საერთო რიცხვს ერთ და ორ ცვლად მუშაობის დროს. ღამის ცვლის ხანგრძლივობის ერთი საათით შემცირების გამო საჭიროდ იქნა მიჩნეული, რომ დროებრივ მუშებს სართი მიეცეთ ერთსაათიანი სატარიფო განაკვეთის ოდენობით იმ სართის დამატებით, რომელიც ამ დადგენილებით არის დაწესებული ღამის ცვლაში მუშაობისათვის.

გაერთიანებები, საწარმოები და ორგანიზაციები მუშაობის აღნიშნულ რეჟიმს შემოიღებენ წარმოების მოცულობისა და შრომის ნაყოფიერების დაკალებათა შუამავლობით. მუშაობის სხვა რეჟიმების გამოყენება ცალეულ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციებისთვის ხორციელდება ზემდგომი სამეურნეო და პროფკავშირული ორგანიზაციების ნებართვით.

უწყვეტ წარმოებაში დასაქმებულ მუშაკთა მატერიალური დინტერესების გასაძლიერებლად მათ უწესდებათ სართები და დამატებითი შვებულებები საღამოს და ღამის ცვლაში მუშაობისათვის იმ ოდენობით და პირობებით, რომლებსაც ეს დადგენილება ითვალისწინებს, თუ აღნიშნული შეღავათები აღემატება ანალოგიურ მოქმედ შეღავათებს.

საწარმოო დარგების გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების ხელმძღვანელებს უფლება მიეცათ შრომითი კოლექტივების თანხმობით გამოყონ მატერიალური წახალისების ფონდის (მატერიალური წახალისების ერთიანი ფონდის) სახსრები მომსახურების სფეროს იმ საწარმოების, ორგანიზაციებისა და დაწესებულებების მუშაკთა პრემირებისათვის, რომლებთანაც დაიდო მრავალცვლიანი რეჟიმით მომუშავე შრომელებისათვის მომსახურების გაწევის ხელშეკრულებები.

სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტს, გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებს, საკავშირო საზოგადოება „ცოდნას“, სამეცნიერო-ტექნიკური და სამეცნიერო-ეკონომიკური საზოგადოებების ცენტრალურ გამგეობებს წინადადება მიეცათ ფართოდ გაუშუქონ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების კოლექტივების, სამინისტროებისა და უწყებების, რაიონების, ქალაქების, ოლქების, მხარეებისა და რესპუბლიკების მუშაობა მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლისათვის და ამ საფუძველზე მაღალხარისხოვანი პროდუქციის გამოშვების გაზრდის და წარმოების ეფექტიანობის გაძლიერების უზრუნველყოფისათვის.

ამ დადგენილების მოქმედება ვრცელდება აგრეთვე საწარმოო დარგების, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიისა და მოკავშირე რესპუბლიკების მეცნიერებათა აკადემიების, სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების სამინისტროს სამეცნიერო-კვლევითი, საკონსტრუქტორო და ტექნოლოგიური ორგანიზაციების საცდელ (საექსპერიმენტო) წარმოებებზე, საამქროებზე, სახელოსნოებზე, უბნებსა და დანადგარებზე.

* * *

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ და საკავშირო პროფსაბჭომ გამოთქვეს რწმენა, რომ გაერთიანებების, საწარმოებისა და ორგანიზაციების შრომითი კოლექტივები, პარტიული, საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები წარმატებით გადაწყვეტენ მუშაობის მრავალცვლიან რეჟიმზე გადასვლის ამოცანას და ამ საფუძველზე ძირეულად გააუმჯობესებენ მოქმედ საწარმოო პოტენციალის გამოყენებას.

(საკდისი).

ხალხი გარდაქმნის მამოძრავებელი ძალაა

(დასასრული)

ამასთანავე, აღინიშნა დისკუსიაში, ქვეყნის უდიდესი და ნიადაგმზარდი მეცნიერულ-ტექნიკური პოტენციალი ჯერ კიდევ საკმარისად არ გამოიყენება. პროფკავშირული კომიტეტები ყოველთვის როდი აწყობენ და წარმართავენ ღონისძიებებს, რომლებიც უნდა განხორციელდეს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს საწარმოთა საწარმოებრივი გადასვლა ორ-სამ ცვლად მუშაობაზე. დაასახელეს მაგალითები, როდესაც მრავალ ქარხანაში, გაერთიანებაში ცდება ყველაზე სრულყოფილი მოწყობილობა.

გამომგონებლებსა და რაციონალიზატორებს შეუძლიათ საგანგებით სამართლიანად წაუყენონ პრეტენზიები პროფკავშირულ კომიტეტებს: ტექნიკური სიახლეთა დანერგვა ხშირად გაუმართლებლად დიდხანს ჭიანურდება, არადა, სხვადასხვა დარგის საწარმოებში ჯერ კიდევ დიდია და ნელა მცირდება ხელის და ზოგჯერ მძიმე ფიზიკური შრომის წილი.

საჭიროა, თქვეს დელეგატებმა, შემუშავდეს და შემოღებულ იქნეს საკანონმდებლო აქტები, რომლებიც დაიცავენ გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ინტერესებს. ეს არის საკავშირო პროფსაბჭოს, დარგობრივი პროფკავშირების ცენტრალური კომიტეტების, გამომგონებელთა და რაციონალიზატორთა ცენტრალური საბჭოსა და სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს ერთ-ერთი აქტუალური ამოცანა.

დელეგატთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ ყირიმბაზე მ. ს. გორბაჩოვის სიტყვაში ჩამოყალიბებულია პროფკავშირთა საქმიანობის აქტივიზაციის, გარდაქმნაში, დაჩქარების კონცეფციის რეალიზაციაში მათი როლის გაძლიერების კონკრეტული პროგრამა. ორატორებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ სწორია პარტიის მიერ განსაზღვრული რევოლუციური გარდაქმნების კურსი. ყირიმბას მიესალმნენ კუბის მშრომელთა პროფცენტრის გენერალური მდივანი **რობერტო ვეგა ნენენდეზი,** საბჭოს თავმჯდომარე **კ. მოფმანი,** სრულიად პოლონეთის პროფესიული კავშირების თანხმობის თავმჯდომარე **ა. მედოვიჩი,** ვიეტნამის პროფკავშირთა ფედერაციის თავმჯდომარე **ფამ თნე ზუეტი,** ავსტრიის პროფკავშირთა გაერთიანების თავმჯდომარე **ა. ბენია,** კონგოს პროფკავშირთა კონფედერაციის გენერალური მდივანი **ფან-მაშელ ბოკამბა-იანგუმა.**

* * *

დროის სულისკვეთებით, ახალი ამოცანების გადაწყვეტის კონკრეტული, ეფექტიანი გზების ძიებითაა აღსავსე სსრ კავშირის პროფკავშირთა XVIII ყრილობის მუშაობა. მისი დელეგატები კვლავ შეიკრიბნენ 26 თებერვალს კრემლის ყრილობათა სასახლეში.

დელეგატები და სტუმრები ტაშით შეხვდნენ ამხანაგებს **ბ. ნ. დემიჩევს, ა. ბ. ბირიუკოვს, ა. ი. ლუკიანოვს, ვ. პ. ნიკონოვს, გ. პ. რაზუმოვსკის.**

ქვეყნის ყველაზე მასობრივი საზოგადოებრივი ორგანიზაციის საუკეთესო წარმომადგენლები, რომლებიც განაგრძობენ მოხსენებების განხილვას, გამოხატავენ ხალხის ნებას მტკიცედ იაროონ პარტიის მიერ დასახული კურსით. დელეგატები ერთსულოვნად მხარს უჭერენ მთელი ჩვენი ცხოვრების პრაქტიკული გარდაქმნის ვრცელ პროგრამას, პროფკავშირთა პირველი რიგის ამოცანებს ამ მნიშვნელოვან საქმეში, რომლებიც მ. ს. გორბაჩოვმა ჩამოაყალიბა ყირიმბაზე წარმოთქმულ სიტყვაში.

ყირიმბის დელეგატები თავიანთ გამოსვლებში მომთხოვნელად და თვითკრიტიკულად აანალიზებენ პროფკავშირული ორგანოების საქმიანობას, ლაპარაკობენ იმაზე, რა უნდა გაკეთონ ჩვენი საზოგადოების გარდაქმნის დაჩქარებისათვის, თვისებრივად ახალ დონეზე მისი გაყვანისათვის. ამ საკითხებს მიუძღვნეს თავიანთი გამოსვლები სომხეთის სსრ სოფელ გარნის საუბნო საავადმყოფოს მთავარმა ექიმმა **კ. ვ. ხაჩატრიანმა,** ულიანოვსკის გაერთიანება „მრეწველქონლის“ გამყიდველმა **ვ. ა. კირილოვამ,** რუსტოვის ოლქის კრასნოიარმეისკის საშუალო სკოლის მასწავლებელმა **ნ. ნ. ბელოშტანტინოვამ,** მსოფლიო ჩემპიონმა ჭიდრაკში **გ. კ. ხახპაროვმა.**

პროფკავშირები აქტიურად უნდა ეხმარებოდნენ შრომითს კოლექტივებს მოწინავე ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიების დანერგვაში, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის, ნედლეულის, მასალების, სათბობის მომჭირნეობისათვის, ტექნოლოგიური და საგგამო დისციპლინის დაცვისათვის ბრძოლაში. ამაზე ილაპარაკეს თავიანთ გამოსვლებში დელეგატებმა — საწარმოო გაერთიანება „კამჩატთევზმრეწვა“ გემმძღოლმა **ე. ი. ბასოვმა,** ტიუმენის ოლქის ხეტყის მრეწველობის მეურნეობის გამსხვილებული ხე-ტყის დამამზადებელი კომკავშირული ბრიგადის ხელმძღვანელმა **ა. ვ. პოპოვმა,** სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მექანიკის პრობლემათა ინსტიტუტის დირექტორმა, სამეცნიერო-ტექნიკურ საზოგადოებათა საკავშირო საბჭოს თავმჯდომარემ **ა. ი. ობლონსკიმ.**

დღეს განსაკუთრებით მწვავედ დგება აღმზრდელობითი მუშაობის სრულყოფის, დისციპლინის განმტკიცების, ორგანიზებულობის გაძლიერების, მოშვებულობის და უდარდელობისადმი, ლოთობისა და ალკოჰოლიზმისადმი შეუწყნარებელი დამოკიდებულების საკითხები. ამ საკითხებს შეეხნენ თავიანთ გამოსვლებში სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი, სიფხიზლისათვის ბრძოლის სრულიად საკავშირო ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე **ი. ა. ოგანიანოვი,** ყაზახეთის პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე **ე. ფაკილეკოვი,** ომისა და შრომის ვეტერანთა სრულიად საკავშირო საბჭოს თავმჯდომარე **კ. ტ. მაზუროვი** და სხვა ორატორები.

ყირიმბაზე სუფევს საქმიანობის, განსახილველი პრობლემებისადმი კრიტიკული დამოკიდებულების ატმოსფერო. მწვავე, საჭირბოროტო საკითხები აღძრეს თავიანთ გამოსვლებში მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ **ი. ი. კოსტიუკოვამ,** საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა **ვ. ი. მორონენკომ,** სსრ კავშირის

საკავშირო

ფაქტები • მოვლენები

გამოსამაურება

იმედითა და ნდობით

ნიუ-იორკი. **საბჭოთა პროფკავშირების ყრილობაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის სიტყვამ, რომელშიც განხილულია საბჭოთა კავშირში მიმდინარე მნიშვნელოვანი ცვლილებანი, ცხოველი ინტერესი გამოიწვია ამერიკის პროფკავშირული მოძრაობის რიგებში.**

მე იმათ რიცხვს განვეკუთვნები, ვინც იმედითა და ნდობით ადევნებს თვალს სსრ კავშირში გარდაქმნას, თქვა საკდესის კორესპონდენტისათვის მიცემულ ინტერვიუში შეერთებულ შტატებში პროფკავშირული მოძრაობის ვიტერანმა ჰარი ბრიჯსმა. მისი განხორციელების შედეგად მაღლდება საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და სულიერი დონე. და დღეს თქვენ არ გაქვთ პრობლემები, რომლებსაც ნიადაგ არ აწყდებოდეს ბევრი ამერიკელი, — ეს არის სამუშაოს, ბინის შოვნა, განათლების მისაღებად ფულის შოვნისათვის ზრუნვა. დარწმუნებული ვარ, რომ გარდაქმნა კიდევ უფრო გაამდიდრებს საბჭოთა საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ და ჰუმანურ ფასეულობებს, აღნიშნა ჰარი ბრიჯსმა.

◆ **გზრ-აშშ**

რა მიზნით მოგზაურობენ თეთრი სახლის მმისრეგი

ბონი. **შეახელონ ამერიკის შეერთებული შტატების ნატოელი პარტნიორების მზარდი უკმაყოფილება ამერიკის ადმინისტრაციის ავანტიურისტული კურსთან დაკავშირებით, შეეცადონ დაამშვიდონ და ამავე დროს მოთოკონ მოკავშირეები — ასეთია ადგილობრივ პოლიტიკურ მეთვალყურეთა აზრით, დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში ამერიკის შეერთებული შტატების ემისრების მოგზაურობის მთავარი მიზანი.** ოთხშაბათს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტისა და სახელმწიფო მდივნის კონსულტანტი შეიარაღების შემცირების მოლაპარაკების დარგში პოლ ნიტცე და თავდაცვის მინისტრის თანაშემწე საერთაშორისო უშიშროების დარგში პოლიტიკის საკითხებზე, ცხობილი „ქორი" რიჩარდ პერლი ჩამოვიდნენ ბონში, სადაც შეხვდნენ გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის კანცლერს ჰელმუტ კოლს.

როგორც დპა-ს სააგენტო იუწყება, მოლაპარაკების ყურადღების ცენტრში იყო საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატებისა და ნატოს წევრი ქვეყნების პოზიციასთან. განიხილეს აგრეთვე რეიგანისეული „სტრატეგიული თავდაცვითი ინიციატივის" რეალიზაციის პრობლემები. როგორც ცნობილია, ამ საკითხებზე ამერიკის შეერთებულ შტატებსა და ჩრდილოეთ ატლანტიკურ ბლოკში მის პარტნიორთა შორის უთანხმოებაა. ისინი, აღნიშნავს გაზეთი „უნზერე ცაიტ", დაკავშირებულია, უწინარეს ყოვლისა, ვაშინგტონის განზრახვასთან რეგზია გაუწიოს და არსი გამოიცალოს რაკეტასაწინააღმდეგო თავდაცვის ხელშეკრულებას ამ დოკუმენტის ეგრეთ წოდებული „ვრცელი განმარტების" გზით, რომ ხელფეხი გაეხსნას „ვარსკვლავეთის ომების" პროგრამის დასაჩქარებლად. ასეთ მიდგომას, ხაზგასმით აღნიშნავს გაზეთი, შეიძლება გარეულებები მოჰყვეს ბირთვული შეიარაღების შემცირების საკითხზე მოლაპარაკების დროს.

● **ინგლისი**

საიდუმლო პროექტი

ლონდონი. **ბრიტანეთის პარლამენტის თემთა პალატის დეპუტატებს შესაძლებლობა მიეცათ პირველად გაცნობოდნენ ბიბი-ბი ტელეკომპანიის დოკუმენტურ ფილმს, რომელშიც ლაპარაკია სოციალისტური ქვეყნების ტერიტორიისათვის სათვალთვალოდ უახლოესი თანამგზავრჯაშუნის შექმნის საიდუმლო პროექტის შესახებ.** პარლამენტართა ზემოქმედებით თემთა პალატის სპიკერი ბერნარდ უეზერი იძულებული გახდა დათანხმებულიყო ამ ფილმის ჩვენებას, რომელიც მთავრობამ აკრძალა ეროვნული უშიშროების ინტერესების დაცვის საბაბით. მანამდე კი კინოფილმის აკრძალვას მოჰყვა ფილმის ავტორებისა და ხელმძღვანელი დასჯის საფრთხე, ჩხრეკა მათ ბინებსა და რედაქციებში, სადაც მუშაობა მიმდინარეობდა ფილმზე. საზოგადოებრიობამ ხელისუფალთა ამგვარ მოქმედებას უწოდა სიტყვის თავისუფლების უხეში ხელყოფა.

● **საფრანგეთი**

საშიში ინციდენტი

პარიზი. **საშიში ინციდენტი მოხდა საფრანგეთის ქალაქ ლა-როშერის ნავსადგურში (ზღვისპირა შარანტის დეპარტამენტი).** აქ მანიფესტაციას აწყობდნენ ადგილობრივი დოკერები და გემთმშენებლები, რომლებმაც ნავსადგურისაკენ მიმავალ ხიდზე საგაფიცო პიკეტები დააყენეს. ხელისუფლებმა მანიფესტაციის დასარბევად გამოიყვანეს პოლიციის გაძლიერებული რაზმები. „წესრიგის დამცველებმა" გამოიყენეს ცრემლსადენგაზიანი ხელყუმბარები. ბედნიერი შემთხვევის გამო მსხვერპლი არ არის.

შეიძინეთ გაიაფებული საქონელი

28 თებერვალს და 1 მარტს გაფართოებული საცალო ბაზრობა გაიმართება მცხეთის რაიონში ხავტომობილო გზატკეცილის მახლობლად ქსნის გადასახვევთან.

ცეკავშირის სისტემის საგაჭრო ორგანიზაციები შეიმოგთავაზებენ სამამულო და იმპორტული წარმოების ქსოვილებს, მზა ტანსაცმელს, ფეხსაცმელს, ტრიკოტაჟს, გალანტერეას, პარფიუმერიას, კულტსაყოფაცხოვრებო და სხვა საქონელს.

ბაზრობაზე გამოტანილი იქნება ცეკავშირის სისტემის და მსუბუქი მრეწველობის საწარმოებში არსებული გაიაფებული საქონელი ფართო ასორტიმენტით.

ქსანში ბაზრობა გაიმართება აგრეთვე ყველა მომდევნო შაბათ-კვირა დღეებში.

გეწვევით საგაზაფხულო ბაზრობაზე!

ცეკავშირის გამგეობა.

აქტუალური აზრი

მხოლოდ მშვიდობიანი თანაარსებობა

ბირთვულ საუკუნეში კაცობრიობის გადარჩენის მთავარი პირობაა მშვიდობიანი თანაარსებობა და კონსტრუქციული დიალოგი ხალხებს შორის, რომლებიც სხვადასხვა სოციალური სისტემის პირობებში ცხოვრობენ. ამერიკის შეერთებული შტატების პოლიტიკა კი მიზნად ისახავს იმ მთავრობათა დესტაბილიზაციას და დამხობას, რომლებიც „არ შეესაბამებიან" დასავლურ კაპიტალისტურ მოდელებს. მშვიდობის შენარჩუნების პრობლემებისადმი ბეშმარიტად რეალური მიდგომა ნიშნავს ქვეყნებს შორის ეკონომიკურ, კულტურულ და სოციალურ კავშირურთიერთობათა განვითარებას. ამერიკის მთავრობამ უნდა შეიგნოს, რომ სოციალურ სისტემებს შორის განსხვავება არ შეიძლება იყოს საშიშროო კონფლიქტების მიზეზი.

საზოგადოებრივი აზრის გააქტიურების იმპულსად იქცა საბჭოთა სამშვიდობო ინიციატივები, წინადადებათა კომპლექსი, რომლებიც მარშან იანვარში სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალურმა მდივანმა მ. ს. გორბაჩოვმა წამოაყენა. სსრ კავშირმა მრავალი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა მსოფლიოში დაძაბულობის შესამცირებლად და ბირთვული ომის თავიდან ასაცილებლად. სამწუხაროდ, რეიგანის ადმინისტრაციამ არ მიბაძა ამ მაგალითს. მიუხედავად ამისა, მილიონობით ამერიკელი კვლავ მოითხოვს შეერთებული შტატების მთავრობა დაეთანხმოს სსრ კავშირის წინადადებებს, რომელთა მიზანია მშვიდობიანი თანარსებობა და თანამშრომლობა. მჯერა, რომ მშვიდობისათვის მასობრივ მოძრაობას ძალა შესწევს ზემოქმედება მოახდინოს ვაშინგტონის პოლიტიკაზე, შეცვალოს მისი კატასტროფის საფრთხით აღსავსე კურსი.

მენიგ მერეიბელი,
ინდიანის შტატის პედიუს უნივერსიტეტის პროფესორი, „უბირთვო მსოფლიოსათვის, კაცობრიობის გადარჩენისათვის" მოსკოვის საერთაშორისო ფორუმის მონაწილე.

ტელეტაიპის ლენტიდან

◆ **ვაშინგტონი.** რეიგანის ადმინისტრაცია მიზანმიმართულ კამპანიას ეწევა, რომ საზოგადოებრიობას დაუმალოს ინფორმაციები ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის საქმიანობის შესახებ, გააძლიეროს საიდუმლოებისა და ცენზურის რეჟიმი. ასეთი ბოქმედების მრავალი დამადასტურებელი ცნობა დაასახელეს ოთხშაბათს სპეციალურ მოსმენაზე ამერიკის კონგრესის წარმომადგენელთა პალატის ერთ-ერთ ქვეკომიტეტში.

◆ **რომი.** იტალიის ყოველდღიურ ცხოვრებაზე მნიშვნელოვანი ზემოქმედება მოახდინა დიდი სატვირთო მანქანების მძღოლთა გაფიცვამ, რომელიც უკვე სამი დღეა გრძელდება. გაფიცვაში მონაწილეობენ 200 ათასი სატვირთო მანქანის მძღოლები და პროტესტს აცხადებენ საწვავის მაღალი ფასების წინააღმდეგ. გაფიცვის შემდეგ შეფერხებები იგრძნობა სხვადასხვა სახეობის საქონლის მომარაგებაში, რომელთა 80 პროცენტი მოჰქონდათ სატვირთო მანქანებით, აგრეთვე საწვავის მიწოდებაში.

◆ **ბრაზილია.** ბრაზილიის ეროვნული კონგრესის შენობასთან სამხრეთ აფრიკის რესპუბლიკაში აპარტეიდის პოლიტიკის წინააღმდეგ დემონსტრაცია მოაწყვეს საზოგადოებრიობის წარმომადგენლებმა. იგი მოაწყო აპარტეიდის წინააღმდეგ მებრძოლმა ეროვნულმა ფრონტმა. დემონსტრანტებმა ალაპ შემოარტყეს დეპუტატთა პალატის შენობას და მოითხოვეს ბრაზილიამ გაწყვიტოს ურთიერთობა პრეტორიის რეჟიმთან.

მეგობართა გამოცდილება

როგორ უნდა გახდე დირექტორი

ადვილია თუ არა დირექტორობა ბულგარეთში? ამაზე პასუხის გაცემა იოლი არ არის.

ბულგარეთის კომპარტიის XIII ყრილობაზე ითქვა, რომ საპირისპირო სამეურნეო მექანიზმის სრულყოფა, ნამდვილ სამეურნეო ანგარიშზე საწარმოთა გადაყვანა, ეკონომიკის მართვის დემოკრატიზაცია. ამ ცოტა ხნის წინათ ბულგარეთში ძალაში შევიდა ახალი შრომის კოდექსი, რომლის თანახმადაც ფაბრიკა-ქარხნების დირექტორებს, საამქროებისა და ცეხების უფროსებს, ბრიგადირებს წინანდებურად კი არ ნიშნავენ, არამედ შესაბამისი კოლექტივები ირჩევენ.

ამრიგად, ბულგარეთში პირველად მეტწილ საწარმოებში ხელმძღვანელთა ამ რგოლის მასობრივი არჩევნები მოეწყო, რომელშიც 2,5 მილიონი კაცი — სახალხო მეურნეობაში დასაქმებულთა დაახლოებით 75 პროცენტი მონაწილეობდა. ყოველ კანდიდატს ხმების სულ ცოტა ორი მესამედი უნდა მოეგროვებინა. კენჭისყრა ფარული იყო. კამპანიის სათავეში ჩაუდგნენ პარტიული და პროფკავშირული ორგანოებიები. მათ მიერ დასახელებული კანდიდატურების აბსოლუტურ უმრავლესობას არჩევნებში მხარი დაუჭირეს.

ამასთანავე მთლიანად ხელგარეთში „უნდობლობის ვოტუმი" მიიღო 284 დირექტორმა და 1.234 ბრიგადირმა.

საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფეროში ინტენსიფიკაციის საჭიროებამ თვითმმართველობა ეკონომიკური განვითარების მამოძრავებელ ძალად გადაიქცია.

ესეც კია, აღმოჩნდნენ მუშები, რომლებმაც ვერ ირწმუნეს არჩევითობის უპირატესობანი. მაგალითად, სოფიის ქარხნის „ვიტოშის" ხარატს ოგნიან იგნატოვს უთქვამს, საწარმოში ჩემი მუშობის მანძილზე სამი დირექტორი შეიცვალა, და ჩემთვის სულ ერთია, მორიგი დირექტორი ვინ იქნებაო. რით აიხსნება ასეთი პოზიცია? ურწმუნოებთან, დამკვიდრებული წესის ჩვევით თუ პასუხისმგებლობის შიშით? დიახ, რა თქმა უნდა, სამწუხაროდ, ყოველივე ეს ჯერჯერობით არის. მაგრამ შრომითი კოლექტივების მეტმა ნაწილმა ირწმუნა შესაძლებლობანი, რომლებსაც თვითმმართველობა იძლევა. ამრიგად, აღმოიფხვრა სოციალური უსამართლობის ზოგიერთი გამოვლინება, ხელმძღვანელი თანამდებობებიდან მოიხსნა ხალხი, რომლებიც ნდობას არ იმსახურებენ. საგულისხმოა მშენებლობის პრობლემების ერთი სამეცნიერო ინსტიტუტის დირექტორის ამბავი: უდავო ორგანიზატორული ნიჭის მიუხედავად კოლექტივმა უარყო მისი კანდიდატურა. თუმცა, არც ისე ადვილი ყოფილა ნდობისა და ავტორიტეტის მოპოვება. ამისათვის საჭიროა ბევრი თვისება, კერძოდ, დიდი პროფესიონალიზმი. ხელმძღვანელის მამკითხველობა შეხამებული უნდა იყოს კოლექტივის ეზრთან, ადამიანური ურთიერთობის ეთიკასთან და, უდავოდ, იურიდიულ ნორმებთან.

ეი მეორე მაგალითიც. ქარხნის დირექტორი... მას ბევრი რამ გაუკეთებია საწარმოსათვის: განაახლა, მუშაკთა ხელფასები გაზარდა... მიუხედავად ამისა, ძლივს მოაროვა იმდენი ხმები, რომ თავის ადგილს დარჩენილიყო. ეტყობა, კარგი იმდინარეობა სრულიადაც არ ნიშნავს კარგ ადამიანს. ეს ხელმძღვანელი სამი წლით აირჩიეს. მომდევნო არჩევნებამდე შეუძლია ბევრი რამ მოიფიქროს...

ბრიგადირები ორი წლით აირჩიეს, დირექტორები — ორიდან ხუთ წლამდე. ვადა კოლექტივების საერთო კრებაზე წინასწარი ღია კენჭისყრით განსაზღვრეს და მხოლოდ ამის შემდეგ დაიწყეს ამა თუ იმ კანდიდატისათვის ფარული კენჭისყრა. საარჩევნო კამპანიამ ზოგი დაანაღვლიანა, ზოგიც გაახარა. ანუ, როგორც იტყვიან, ყველამ დამსახურებისამებრ მიიღო.

ბრიგადირების, უბნებისა და საამქროების უფროსების, საწარმოთა დირექტორების არჩევნებმა ფეხზე დააყენა კოლექტივები. დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა დემოკრატიის გაფართოებისა და გაღრმავების, წარმოების უშუალო მართვაში მშრომელთა ჩაბმის გზაზე.

ახალგაზრდების შემოქმედება

თეატრი ძველ ტაძარში

—1974 წლიდან მეტეხის ძველი ტაძარი ხელოვნების სამსახურში ჩადგა — აქ ბინა დაიდო თბილისის სახელმწიფო ახალგაზრდულმა დრამატულმა თეატრ-სტუდიამ, რომელსაც თბილისელებმა სიყვარულით „მეტეხის თეატრი" შეარქვეს.

განსაკუთრებული გადაკეთებები არ მომხდარა, ტაძრის ინტერიერი კი გადაიქცა არაჩვეულებრივ, მაგრამ საოცრად მყუდრო თეატრალურ დარბაზად, რომელიც ასზე მეტ მაყურებელს იტევს. ცენტრში გამოტანილი მცირე ზომის სასცენო მოედანი, რომლის ფართობი სულ ოცდათექვსმეტი კვადრატული მეტრია, სამი მხრიდან ამფითეატრით არის გარს შემოკრული.

ის, ვინც პირველად მოხვდება მეტეხის თეატრში, აუცილებლად გაოცდება: აქ არ არის ჩვეული ზღვარი რამპასა და მაყურებელთა დარბაზს შორის. სცენაზე მყოფი მსახიობი ფაქტობრივად მაყურებლებს შორის თამამობს. ახალგაზრდულ თეატრში არ არის სასცენო ტექნიკა — თეატრალური ეფექტების მთელი ტვირთი უშუალოდ მსახიობებს აწევთ. თეატრალური კოლექტივი ესწრაფვის მაქსიმალურად გამოავლინოს ახალგაზრდა მსახიობთა შემოქმედებითი შესაძლებლობანი, რომლებმაც, უარყვეს რა ტრადიციული თეატრალური ტექნოლოგია, საკუთარ სტილს, საკუთარ მეთოდოლოგიას ეძებენ. თითოეული სპექტაკლი დადგმის თავისებურებაა მაყურებელთან უშუალო კონტაქტი.

რეპერტუარში ბევრი საინტერესო სპექტაკლი აქვთ. ამჟამად მეტეხის ტაძარში გადის მ. დოლიძის „მდგმურები", ი. ჭავჭავაძის „განდეგილი", დ. კლდიაშვილის „უბედურება", ა. ვარსიმაშვილის „ჩემი ცხოვრების გზა სიზმარია" და სხვ.

დაარსების დღიდან ახალგაზრდულ თეატრს ხელმძღვანელობს ლენინგრადის თეატრალური ინსტიტუტის სარეჟისორო ფაკულტეტის კურსდამთავრებული ალექსანდრე მრევლიშვილი. მან, მისივე სიტყვებით რომ ვთქვათ, „ყველა აკადემია" გაიარა: მუშაობდა რუსთაველისა და მარჯანიშვილის თეატრებში, სოხუმის დრამატულ თეატრში, ხოლო როცა სათავეში ჩაუდგა ახლად შექმნილ მეტეხის ახალგაზრდულ თეატრს, თავის კრედოდ დაისახა ლოპე დე ვეგას სიტყვები: „ერთი სიუჟეტი, ორი არტისტი და სამი ფიცარი".

— აი ეს არის ჩემი თეატრი, — ამბობს მისი მთავარი რეჟისორი და დირექტორი, — საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის კომკავშირის პრემიის ლაურეატი, საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირის მდივანი ალექსანდრე ანუ, როგორც მეგობრები და მისი ნიჭის თაყვანისმცემლები ეძახიან, სანდრო მრევლიშვილი. მან დადგა ძველი ტაძრის თაღებქვეშ „ლადო კეცხოველი", „ჰამლეტი", „განდეგილი"...

მაისის დამლევს ა. მრევლიშვილი მაყურებელთა სამსჯავროზე გამოიტანს დოსტოევსკის „იდიოტს". ამავე პიესის დასადგმელად მიიწვიეს იგი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ საარბრიუკენის თეატრში.

ა. ვიგნანსკი.

სურათებზე: თეატრის მთავარი რეჟისორი და დირექტორი, საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, რესპუბლიკის კომკავშირის პრემიის ლაურეატი სანდრო მრევლიშვილი; თეატრის მსახიობები ზურაბ ციბულაძე და თამარ დათუაშვილი; ახალგაზრდული თეატრის სპექტაკლის სცენა.

ს. ედიშერაშვილის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა)

სტიქია და ადამიანები

ცაგერში მეწყერი ჩამოწვა

სტიქია კვლავ უსიამოვნებას უქმნის ადამიანებს. დასავლეთ საქართველოში მზიანი, თბილი დღეები შეცვალა წვიმამ, თოვლმა. ამან გააძლიერა ზვავებისა და მეწყერების ჩამოწოლის საშიშროება.

მათი ძალა უკვე გამოსცადეს ცაგერის რაიონის მცხოვრებლებმა. სოფელ ლუხვანოში მეწყერმა დაანგრია 15 და დააზიანა 81 სახლი. მთლიანად გამოვიდა მწყობრიდან ზედა ლუხვანოში მიმავალი გზა. დაზარალდნენ აგრეთვე სოფლები ჩხუტელი, წილამიერი, ზუბი, ლესინდი, ნასპერი, ქვედა ცაგერი და სხვა. აქ დაინგრა დაახლოებით ორასი ნაგებობა, საბედნიეროდ მსხვერპლი არ არის. 25-26 თებერვალს რაიონს გადაუარა გრიგალმა. მწყობრიდან გამოვიდა 17 სოფლითან დამაკავშირებელი კავშირგაბმულობის ხაზები.

ვითარება გართულდა სოფელ ორბელეში. 26 თებერვალს მის მიდამოებში 16 ზვავი ჩამოწვა. რაიონს მოწყვეტილი აღმოჩნდა მდინარეების ლაჯანისა და რიონის ხეობაში მდებარე სოფლები.

დღედაღამ მიმდინარეობს აღდგენითი სამუშაოები. მობილიზებული არიან ადამიანები, ტექნიკა. რთული მეტეოროლოგიური პირობების მიუხედავად ოთხი სოფლის გარდა ყველგან აღდგენილია ელექტროენერგიის მიწოდება.

ამ დღეებში ცაგერლებს გვერდში უდგანან სხვა რაიონების მშრომელებიც. გურჯაანიდან გაუგზავნეს პირუტყვის საკვები. კახეთიდან ჩამოვიდნენ ელექტრიკოსები, რომლებიც დაეხმარნენ 30 კილომეტრი ელექტროგადამცემი ხაზების აღდგენაში ცაგერ-ოყურეშის უბანზე.

სტიქიით დაზარალებულ რაიონს ეხმარებიან სამტრედიის რაიონი და ქალაქ თბილისის ლენინის რაიონი. აქედან მათ გაუგზავნეს საშენი მასალები.

(საქინფორმი).





ᲡᲠᲣᲚᲘ

ᲯᲔᲠᲯᲔᲠᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲡᲐᲛᲔᲜᲘ ᲐᲠᲛᲐᲜ

დამთავრდა უმაღლესი ლიგის წყალბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის პირველი ტურის საწყისი ეტაპი. მოსკოვში, სადაც თბილისის დინამოელები ასპარეზობდნენ, ხუთ-ხუთი მატჩის შემდეგ დაუმარცხებელი მხოლოდ ერთი გუნდი — მოსკოვის უნივერსიტეტის კოლექტივი აღმოჩნდა. სწორედ მოსკოველ სტუდენტებთან, ბოლო, მეხუთე დღის მატჩში თბილისის „დინამოს" ერთობ შეუპოვარი ბრძოლა გადახდა თავს. თბილისელებმა ძლიერ მეტოქეებს ტოლი არ დაუდეს და მეოთხე პერიოდამდე ანგარიშში წონასწორობა ფაქტობრივად არ დარღვეულა: „დინამომ" პირველი პერიოდი მოიგო ანგარიშით 2:1, მეორე პერიოდი თავად წააგო ერთი ბურთის სხვაობით — 3:2, ხოლო მესამე პერიოდში ანგარიში საყაიმო იყო — 1:1. ბოლო გადამწყვეტ პერიოდში მასპინძლებმა თბილისელთა კარში ერთადერთი ბურთის გატანა შეძლეს. დინამოელებმა კი სწორედ ამ ბურთის გაქვითვა ვერ მოახერხეს და საბოლოო ანგარიშია 6:5 მოსკოვის უნივერსიტეტის გუნდის სასარგებლოდ. ამ დღის სხვა მატჩები ასე დამთავრდა: წითელროშოვანი შაი ზღვის ფლოტის (სევასტოპოლი) გუნდი-ლენინგრადის „ბალტიკა" — 6:5, სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური სპორტკლუბი-ხარკოვის „ლოკომოტივი" — 11:8.

ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲗᲐᲠᲝ

▼▼

ᲔᲫᲦᲕᲜᲔᲑᲐ ᲓᲘᲓ ᲔᲜᲪᲘᲙᲚᲝ�პᲔᲓᲘᲡᲢᲡ

ᲔᲡ წიგნი, რომლის ავტორია საქართველოს სსრ სახელმწიფო პრემიის ლაურეატი, აკადემიკოსი გიორგი ჯიბლაძე, გამომცემლობა „მეცნიერებამ" გამოუშვა.

მონოგრაფიაში გაანალიზებულია გენეალური სწავლულისა და მოაზროვნის ავიცენას (აბუ ალი იბნ-სინას) ფილოსოფიურ-ესთეტიკური და მხატვრული მემკვიდრეობა. ჩვენი მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს უეჭველად გამოიწვევს საქართველოსთან დაკავშირებული თემები, კერძოდ, რუსთაველი და ავიცენა.

ავიცენაზე ქართველი მეცნიერის პირველი ნაშრომი 1980 წელს გამოიცა, როცა ფართოდ აღინიშნა დიდი ენციკლოპედისტის 1000 წლისთავი.

მონოგრაფიის პასუხისმგებელი რედაქტორია უზბეკეთის მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი ერკინ იუსუპოვი.

ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲐᲓ ᲥᲐᲠᲗᲣᲚ ᲔᲜᲐᲖᲔ

ᲜᲔᲘᲠᲝᲤᲘᲖᲘᲝᲚᲝᲒᲘᲐ ახალი მეცნიერული დისციპლინაა, რომელიც ჩამოყალიბდა კლინიკური ნევროლოგიის, ნეიროფიზიოლოგიისა და ფსიქოლოგიის მიჯნაზე.

პროფესორ ცოტნე ჩხეიძეშვილის ნაშრომი „კლინიკური ნეიროფსიქოლოგიის საფუძვლები" ამ ახალი დისციპლინის ზოგადი მიმოხილვის პირველი ცდა არის ქართულ ენაზე.

ეს წიგნი მუშაობაში დაეხმარება კლინიცისტ-ნეროლოგებს, ფსიქიატრებს, ნეიროფიზიოლოგებსა და მოსაზღვრე დარგის სპეციალისტებს.

ᲡᲐᲢᲣᲠᲜᲘᲠᲝ ᲝᲠᲑᲘᲢᲐ

ᲙᲐᲚᲐᲗᲐᲣᲠᲗᲘ. გუშინ თბილისის სპორტის სასახლეში გაიმართა უმაღლესი ლიგის ვაჟთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის დასკვნითი ეტაპის მორიგი კალენდარული მატჩი. თბილისის „დინამომ" უმასპინძლა ლენინგრადის „სპარტაკს". შეხვედრა მოიგეს სტუმრებმა ანგარიშით 61:56.

ᲑᲐᲓᲐᲣᲢᲜᲘ ᲮᲢᲝᲜᲘ. მოგიღიოვში გამართულ საკავშირო თასის გათამაშებაზე სინქრონულ ხტომებში კრასნოდარელ ირინე სლონოვასთან ერთად თავი ისახელა ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენმა რუსუდან ხოფერიამ: მათ ამ სახეობაში ყველას აჯობეს და პირველი ადგილი მოიპოვეს. რუსუდანი ერთეულთა თანრიგში მესამე იყო.

ᲨᲔᲮᲕᲔᲗᲘ. შავი ზღვისპირეთის სტადიონებზე გაიმართა მორიგი საკონტროლო მატჩები. გთავაზობთ შედეგებს: თბილისის „დინამო"-ორჯონიკიძის „სპარტაკი" — 2:2, ლენინგრადის „გურია"-კრაკოვის (პოლონეთი) „ვისლა" — 2:2.

ᲥᲘᲕᲘ. ქალაქ დაუგავპილსში გამართულ პროფკავშირთა საკავშირო საბჭოს სპორტსაზოგადოებების იუნიორ სპორტსმენთა (1969-1970 წლებში დაბადებულთა შორის) საკაპიტონო შეჯიბრებაზე ოქროს მედალი მოიპოვა ქუთაისელმა ჭაბუკთა ყუფარადემ (75 კგ-მდე წონა), თბილისელი არჩილ ბიბილური კი ბრინჯაოს მედალს დაეუფლა.

Გ. Ა. ᲩᲐᲩᲘᲒᲐᲘᲐ

გარდაიცვალა პარტიის, ომისა და შრომის ვეტერანი, საკავშირო მნიშვნელობის პენსიონერი, საბჭოთა კავშირის ჟურნალისტთა კავშირისა და საზოგადოება „ცოდნის" წევრი ვიქტორ ალექსის ძე ჩაჩიბაია.

ვ. ჩაჩიბაია დაიბადა 1902 წელს. დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობა დაიწყო 14 წლისამ.

კომუნისტური პარტიის რიგებში შევიდა 1921 წელს. 1930 წელს დაამთავრა ბაქოს 26 კომისრის სახელობის კომუნისტური უნივერსიტეტი. 1932 წელს აირჩიეს პარტიის ჩხოროწყუს რაიკომის პირველ მდივნად.

შემდგომ პერიოდში მუშაობდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ინსტრუქტორად, სექტორის, განყოფილების გამგედ, გაგრის მეციტრუსეობის საბჭოთა მეურნეობის დირექტორად, საქართველოს სსრ დამზადების სახალხო კომისრის მოადგილედ, კადრების დარგში. 1940-41 წლებში საქართველოს სსრ მეცხოველეობის ტრესტის მმართველი იყო.

1941-46 წლებში იმყოფებოდა წოთელი არმიის რიგებში. დემობილიზაციის შემდეგ წლების მანძილზე მუშაობდა „საქწიგნის" განყოფილების გამგედ.

ბოლო ხანს გარდაცვალებამდე ეწეოდა აქტიურ ლექციურ პროპაგანდას საზოგადოება „ცოდნის" ხაზით. იყო თბილისის ლენინის რაიონის ვეტერან კომუნისტთა და სამამულო ომის ვეტერანთა საბჭოს წევრი. დაჯილდოებული იყო ორდენითა და მედლებით.

ვ. ჩაჩიბაიას ნათელი ხსოვნა მუდამ დარჩება ამხანაგებისა და მეგობრების გულში.

თბილისის ლენინის რაიონის პარტიის ვეტერანთა საბჭო.

გაზეთ „კომუნისტ"-ის შემდეგი ნომერი გამოვა კვირას, 1 მარტს.

რედაქტორი
გ. ბედნიერიშვილი.

საქართველოს სსრ სოციალური უზრუნველყოფის სამინისტროს კოლეგიტივი იუწყება, რომ გარდაცვალა გურჯაანის რაიონის სოფელ ვეჯინის პენსიონატ „კახეთის" დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმი

გიორგი სიმონის ძე ხელაშვილი

და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სსრ კულტურის სამინისტრო და საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირი აცხადებენ პუშკინის ნაფარმოებების (პოეზია, პროზა) მხატვრული კითხვის კონკურსს

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ პროფესიონალ მსახიობებს. კონკურსის პირობით აუცილებელია ერთი ლექსის და პროზაული ნაწყვეტის მხატვრულად წაკითხვა (ზეპირად) არანაკლებ 10 წუთისა და არაუმეტეს 15 წუთისა.

დაწესებულია პრემიები:

ერთი პირველი პრემია — 200 მანეთი;
ორი მეორე პრემია — 150-150 მანეთი;
სამი მესამე პრემია — 100-100 მანეთი.

კონკურსი ერთ ტურად მოეწყობა წელს აპრილში.

მსურველებმა განცხადებით უნდა მიმართონ საქართველოს თეატრალურ მოღვაწეთა კავშირში, კონკურსის ჟიურის (კიროვის, 11-ა) 1 აპრილამდე.

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ

27 თებერვალი

პირველი პროგრამა. 8.00 — დილის ვარჯიში. მულტფილმი. მუსიკა. 8.30 — „ვრემია". 9.05 — მხატვრული ფილმი „სტაჟიორი". 10.35 — მსოფლიო და ახალგაზრდობა. 11.10 და 17.00 — ლაპარაკობენ პროფკავშირთა XVIII ყრილობის დელეგატები. 17.15 — ს. მიხალკოვის გმირები ეკრანზე. „დაკარგული ფოტოსურათი". 18.35 — მოცარტი. № 13 კონცერტი ფორტეპიანოსა და ორკესტრისათვის. 19.00 — აგრომრეწვი: დღეს და ხვალ. 19.45 — დღეს მსოფლიოში. 20.00 — კონცერტი პროფკავშირთა XVIII ყრილობის დელეგატებისთვის. 22.00 — „ვრემია". 22.40 — კინოპანორამა. 0.20 — დღეს მსოფლიოში. 0.35 — იტალიური სიმღერის ფესტივალი სან-რემოში.

მეორე პროგრამა. 9.00 — დილის ვარჯიში. 9.15 — დოკუმენტური ტელეფილმი. 9.35 და 10.35 — კ. პაუსტოვსკი. „მეშჩერის მხარე". IV კლასი. 10.05 და 15.20 — ინგლისური ენა. 11.05 — საზოგადოებათმეცოდნეობა. 11.35 და 12.35 — მუსიკა. IV კლასი. 12.05 — ჩვენი ბაღი. 13.10 — სუბტიტრებიანი მხატვრული ფილმი „ბუგიდან ვისლამდე